ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 19 იანვარი, 2022 №13 (8791) ფასი: 60 თეთრი

## „აკო ჭელიძე ნიკო კვარაცხელიას ზურგიდან ესვრის, კვარაცხელია გარბის და ჭელიძე მისდევს“

პროკურორმა შაიშმელაშვილმა მკვლელობის დეტალები აღწერა

გვ.5



# „საპროტესტო აქციები დაიწყება. მძიმე პერიოდი გველოდება“



გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიცია ვერ ახერხებს თავისი როლისა თუ ფუნქციის შესრულებას. საზოგადოება თავის პრობლემებთან მარტო პირისპირ დარჩა“



## „ნაციონალური მოძრაობა ვერ იქნება ოპოზიციური ამომრჩევლის გამაერთიანებელი“

## „სააკაშვილი ივანიშვილის დამარცხებას ვერ მოახერხებს“



გვ.2



ზვიად ძიძიგური: „ოცნების“ ყველა ჯგუფი ქიპლარით ივანიშვილზეა მიბმული“

## „ოცნებაში“ ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება არ უნდოდათ. ის ივანიშვილმა გააპრეზიდენტა და ახლა მასთან ვალშია“



გვ.3

## „ექიმებსა და ფარმაცევტულ კომპანიებს შორის გარიგება უნდა აიკრძალოს“

## „თურქეთში წამალი სამჯერ იაფია, ვიდრე საქართველოში“

აკაკი ზოიძე: „თურქეთის ბაზრის გახსნა მისასალმებელია, ახალ მონოპოლისტს ვერ წარმოშობს“

## ამერიკელი ექსპერტები ვაშინგტონსა და ნატოს ურჩევენ, უკრაინასა და საქართველოს შეიარაღება მიაწოდონ



გვ.4



„რუსეთი პანიკაშია. ის უკრაინასა და საქართველოში ამერიკული ჯარების შესვლას მოელის“

ISSN 1987-9385

4 გია ვოლსკი: „საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის გაერთიანება გახარიას პოზიცია იყო“

5 მაია ფიფიას ტყვია კისერში მოხვდა
წალენჯიხაში ბავშვს დედა შემოაკვდა

5 კაპიტალ ბანკთან დაკავშირებით 17 პირის დევნა დაიწყო

6 ისრაელი: ფაიზერის მე-4 დოზა ომიკრონისგან ბოლომდე ვერ იცავს

# „სააკაშვილი ივანიშვილის დამარცხებას ვერ მოახერხებს“

## ზვიად ძიძიგური: „ოცნების“ ყველა ჯგუფი ჭიპლარით ივანიშვილზეა მიბმული“

იაგო ნაცვლიშვილი

**რატომ არის ხელისუფლება ასე ზღვარს გადასული და რა შეცდომებს უშვებს ოპოზიცია? რა გადაწყვეტილებებს იღებს „ოცნებაში“ ივანიშვილი და რა მაგალითია მისთვის გახარიას შემთხვევა? ვინ სარგებლობს ნდობით, რა ბრძოლებია ჯგუფებს შორის და ვის აზარალებს სააკაშვილის რადიკალიზმი? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „კონსერვატიული პარტიის“ ლიდერი ზვიად ძიძიგური საუბრობს.**



***– რატომ არის გადაწეული სოციალური პოლიტიკა, რატომ მოქმედებს ხელისუფლება პოსტფაქტუმ ტრაგედიების შემდეგ და რატომ ვრეაგირებთ ხშირად ურმისა და გზის პრინციპით?***

– მე თუ მკითხავთ, მაგ პრინციპითაც არ ვმოქმედებთ, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. ხელისუფლება ყოველთვის შორს არის იდეალურისგან და შეუძლებელია, საქართველოში იყო იდეალური. ყველა ხელისუფლებას სჭირდება კონტროლი და ძლიერი ოპოზიცია, რომელიც ყველა გადაცდომას, გულგრილობასა თუ თანამდებობრივ ჩავარდნას შეეწინააღმდეგება. ოპოზიციას სწორედაც რომ ხელისუფლების კონტროლის ფუნქცია აქვს. დღეს კი ფაქტობრივად უარი თქვა ხელისუფლების კონტროლზე და ხელისუფლებაც მოქმედებს პრინციპით – გამდის და ვაკეთებ, დაწყებული გაზის, ელექტროენერგიისა თუ საწვავის ფასის გაძვირებით. 14.000 ადამიანია დაღუპული პანდემიით ქვეყანაში და არც პოლიტიკური ძალაა და არც საზოგადოებრივი მოძრაობა, რომ ამაზე ხელისუფლებას პასუხი მოსთხოვოს. ხელისუფლება სრულიად მიშვებულია და იმის მიხედვით მოქმედებს, რაც მას სურს.

ამიტომ, არ გაგვიკვირდეს, რომ ამხელა ტრაგედია გაატარა ხელისუფლებამ, უბრალოდ, მწუხარება რომ გამოთქვას, ამის ნებელობაც არ აღმოაჩნდა და თანაგრძნობის უნარიც არ აქვს. ეს არის ჩატეხილი ხიდი საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. არჩევნებზე ხალხი ხელისუფლებას ხმას არ აძლევს, მაგრამ სხვადასხვა მანიპულაციითა და ოპოზიციის დაქსაქსულობით სარგებლობს ხელისუფლება და ინარჩუნებს სახელისუფლებო ბერკეტებს.

***– გასაგებია, რომ ოპოზიციას მოსახლეობის პულსზე ხელი არ უდევს, მაგრამ რა უნდა გააკეთოს ამ ვითარებაში?***

– 2020 წლის არჩევნების შემდეგ ოპოზიცია არის იმ რეჟიმში, რომ „ოცნება“ ცუდი და გამყალბებელი ხელისუფლებაა, უნდა დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები და მე ამირჩიოთ. ეს არის ოპოზიციის ძირითადი მესიჯი, რასაც ის სთავაზობს ქართველ ამომრჩეველს, მაგრამ ამომრჩეველი პრაგმატულად უყურებს

### „ოცნებაში“ ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება არ უნდოდათ. ის ივანიშვილმა გააპრეზიდენტა და ახლა მასთან ვალშია“

პროცესს და ფიქრობს, რატომ უნდა აგირჩიო შენ, რა შეიცვლება ჩემთვის შენი არჩევნების შემთხვევაშიო. რის შეცვლა შეუძლია უკეთესობისკენ, ამ გეგმას არ სთავაზობენ. პროგრამები და პროექტები არ აქვთ, რომლებიც მიმართული იქნება კონკრეტული ფენების მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ. არც პედაგოგების, არც სოფლის მეურნეობის, არც პენსიონერებისა თუ სოციალურად დაუცველებისთვის არ გაუკეთებიათ სერიოზული პროგრამული შეთავაზება. აქედან გამომდინარე, ოპოზიციაც ისევეა დაშორებული საკუთარ ხალხს, როგორც ხელისუფლება.

პირველ რიგში უნდა გაიშალოს ეს საქმიანობა. ხელისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გადახედავს თავის მიდგომებს, როდესაც ოპოზიცია გაძლიერდება და ხალხთან დაიწყებს ურთიერთობას. ჩვენ გვჭირდება ამ ტიპის პოლიტიკური საქმიანობა. გამოჩნდებიან ტელეეკრანზე და გალანძღავენ ხელისუფლებას, მაგრამ ეს არ არის ოპოზიციონერობა. ოპოზიციაში ყოფნა გულისხმობს იმას, რომ ადამიანებთან ურთიერთობა გქონდეს მუდმივად, რათა მათ მხარი დაგიჭირონ.

***– თემატური შეხვედრებიც საჭირო ხომ არ არის მას შემდეგ, რაც კონკრეტულ გეგმას დადებენ, რათა მათ აუხსნან, რას შეცვლიან?***

– რა თქმა უნდა, ეს გასაკეთებელია და საკმაოდ ხანგრძლივი სამუშაო აქვს ჩასატარებელი პოლიტიკური პარტიების დიდ ნაწილს. სხვაგვარად ხელისუფლებას ვერანაირად ვერ მოაბრუნებენ საზოგადოების საჭიროებებისკენ. ეს არის ოპოზიციის ფუნქცია.

როდესაც უარს ამბობ პარლამენტში შესვლაზე და არ მონაწილეობ ბიუჯეტის განხილვაში, როდესაც არ იყენებ იმ ბერკეტებს, რომლებიც გაქვს, მაშინ ხელისუფლება მოიქცევა ისე, როგორც იქცევა. სახელისუფლებო ძალა მაქსიმალურად სტერილური და დაცლილია პოლიტიკოსებისგან და ძირითადად იმართება მენეჯერებისგან, რომლებიც ივანიშვილის მითითებებს ასრულებენ, თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ ივანიშვილი ყოველდღიური ცხოვრების თემებში ჩართული არ არის. ის ადამიანები მართავენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას, რომლებსაც ამ სფეროში არანაირი გამოცდილება არ აქვთ. მართავენ ისე, როგორც მათ წარმოუდგენიათ.

***– მაშინ, რა გადაწყვეტილებებს იღებს ივანიშვილი?***

– იმას, რაც უკავშირდება ხელისუფლების შენარჩუნებას, მაგალითად, ისეთ საკითხს, როგორიც იყო მიშელის დოკუმენტიდან გასვლა, სასამართლო კორპუსის დაკომპლექტება ისევ რომ გააგრძელეს. მხოლოდ ასეთ საკითხებშია ჩართული.

***– პრეზიდენტი ვის მხარეს მოიაზრება? მის მიმართ რაღაც პოზიტიური მოლოდინები იყო, მაგრამ, როდესაც მან ვეტო არ დაადო ინსპექტორის შესახებ კანონს, ესეც გაქარწყლდა.***

– პრეზიდენტი ცდილობს, დამოუკიდებელი პოლიტიკური ნაბიჯები გადადგას, მაგრამ იმდენად არის ვალში ივანიშვილთან... ფაქტობრივად, ივანიშვილის დაძალებით გახდა სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი, თორემ არათუ ოპოზიციას, არამედ „ოცნების“ რიგებშიც იყო უამრავი ადამიანი, რომელთაც სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება არ უნდოდათ. ერთადერთი ადამიანი, რომელიც ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებაზეა პასუხისმგებელი, ივანიშვილია. ამიტომ, ამ ფაქტორიდან გამომდინარე, პრეზიდენტს უჭირს დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა. შესაძლოა, ვინმემ ეს სუბიექტურ და ემოციურ ფაქტორად ჩათვალოს, მაგრამ ეს არის ადამიანური ფაქტორი.

***– „ოცნებაში“ ჯგუფებს შორის ჭიდილია და რომელი ჯგუფები არიან წამყვანი?***

– მე არ ვიცი, ზუსტად რომელი ჯგუფი ვის ეჭიდავება, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა ჯგუფი, რომელიც „ქართულ ოცნებაშია“, ჭიპლარით მიბმულია ბიძინა ივანიშვილზე. ამიტომ, გამორიცხულია, მათ ივანიშვილის ნებისმიერ მითითებასა თუ განკარგულებას იგნორირება გაუკეთონ. ამ ნიშნით არის ეს ხალხი შერჩეული, რომ ყველა დავალების უსიტყვო შემსრულებლები არიან.

***– ივანიშვილის ტაქტიკაა ასეთი, რომ „ოცნების“ შიდაჯგუფები უნდა ეომონ ერთმანეთს, ოღონდ მის წინ არც ერთი არ უნდა წავიდეს?***

– არა, მე არ მითქვამს, რომ უნდა ეომონ ერთმანეთს. მე ვამბობ, რომ ყველა შეასრულებს ივანიშვილის მითითებას უსიტყვოდ, ამიტომ მათ შორის ბრძოლასაც მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ამ ბრძოლის შედეგად თუ ვინმეს მოუვა ზედმეტად „გაჩმახება“, მას გასწევს და მოიყვანს სხვას. როგორც სათადარიგო საბურავები, ისე არიან ივანიშვილისთვის ეს პერსონები, რომელთაც მომავალში არც ამბიცია უნდა ჰქონდეთ და არც პოლიტიკურად არ უნდა დაუპირისპირდნენ მას. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ის ნიშნავს პოლიტიკური გამოცდილების არმქონე ადამიანებს თანამდებობებზე, არის ის, რომ ადვილი იყოს მათი გადაყენება და არ შეუქმნან მას რაიმე დისკომფორტი.

***– ამიტომ გასწია გახარია?***

– გახარიას შემთხვევაში სიტუაცია გაექცა და ვერ გათვალა, რომ შეიძლებოდა, მას პოლიტიკური ამბიცია გასჩენოდა. კიდეც დაადასტურა ეს გახარიამ, რომ როდესაც თანამდებობიდან მიდის პერსონა, მას რეიტინგის ნაწილი უნარჩუნდება, შეუძლია, გარკვეული რესურსით გააგრძელოს საქმიანობა. გახარიას შემთხვევა ივანიშვილისთვის კარგი მაგალითი იყო და ასჯერ გადაამოწმებს „ქართუდან“ თუ დაცვის სამსახურიდან, რომელიც ყველაზე უფრო მორჩილი და თვალებმინაბულია მის მიმართ, მხოლოდ ასეთ ადამიანებს ვიხილავთ მომავალში თანამდებობებზე, სანამ ხელისუფლებაში იქნება ივანიშვილი.

***– ბოლოს ოპოზიციის ნაწილს რომ დავუბრუნდეთ, დღეს ხალხისთვის პრობლემა ისიც ხომ არ არის, რომ მუდმივად სააკაშვილის თემა გვესმის და არაფერი სხვა?***

– ეს არ არის პრობლემა. ეს არის მოცემულობა. სააკაშვილი არსებობს ქართულ პოლიტიკაში და ამას უნდა მიღება ისე, როგორც არის. რა თქმა უნდა, სააკაშვილს აქვს თავისი პოლიტიკური გეგმები და ამოცანები. თუ ვინმეს აზარალებს ის თავისი ზღვარგადასული ნაბიჯებით, პირველ რიგში, მისი პარტიაა.

ერთია, როცა ინარჩუნებს ნაციონალური მოძრაობა მეორე ადგილს ქართულ პოლიტიკაში, მაგრამ, რამდენად შეუძლია, შეცვალოს „ოცნება“ დამოუკიდებლად თავისი ხერხებით, ეს კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება, რაც დრო გავა. მისი წარმოდგენები, დარწმუნებული ვარ, დამსხვრეულია. მას ეგონა, რომ ჩამოვიდოდა და ჯადოსნური ჯოხის მოქნევით ყველაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, სააკაშვილისა და ივანიშვილის პოლარიზაციული გარემო პირველ რიგში ივანიშვილს ეხმარება ხელისუფლების შესანარჩუნებლად. რა კონფიგურაციითაც სააკაშვილს სურს ხელისუფლებაში დაბრუნება, ეს გამორიცხულია. არჩევნებმა აჩვენა, რომ ის ვერ მოახერხებს ერთპიროვნულად ივანიშვილის დამარცხებას. დიდი რესურსი აქვს ხელისუფლებას – ფინანსური, ადამიანური, ადმინისტრაციული, შავი და უკანონო წესებითაც შეუძლია თამაში. მასობრივი მხარდაჭერა რომ არ იყოს ხალხისა ოპოზიციის მიმართ, სხვაგვარად შეუძლებელია ისეთი ცვლილებები, რომლებიც ხელისუფლების შეცვლას გამოიწვევს.

# „სანატორიუმ „ქართლის“ მცხოვრებლების ბინებით უზრუნველყოფა უმოკლეს ვადებში უნდა მოხდეს“

## არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება

არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებას სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრები დევნილების უსაფრთხო და ღირსეულ პირობებში განსახლების უზრუნველსაყოფად სწრაფი რეაგირებისკენ მოუწოდებენ.

მათი განცხადების მიხედვით, „ქართლის“ შენობაში მცხოვრები დევნილების პროტესტი მედია და პოლიტიკურ დღის წესრიგში განსაკუთრებული სიმწვავით 16 იანვარს დადგა, როცა 52 წლის დევნილმა ზურაბ ჭიჭოშვილმა პროტესტის ნიშნად ადგილზე თავი მოიკლა.

შენობაში ამ დროისთვის 140-150 ოჯახი სახლობს. ისინი აქ აფხაზეთის ომის შემდეგ, 29 წლის წინ ჩასახლდნენ. შენობა არ არის უსაფრთხო, ავარიულია და ნელ-ნელა იშლება. შენობა უკვე ორად არის გაყოფილი და არამყარია მისი საძირკველიც, სადაც წყლის დაგროვების ნიშნები ჩანს. 2015 წელს ჩატარებული ბოლო ექსპერტიზა აჩვენებს, რომ შენობა ცხოვრებისთვის უვარგისია. თუმცა 6 წლის შემდეგაც დევნილების განსახლება სახელმწიფომ არ უზრუნველყო.

დევნილებმა ბოლო აქცია 2021 წლის დეკემბერში დაიწყეს და 2022 წლის 10 იანვარს განაახლეს, როცა დერეფნებში კედლის ნაწილი ისევ ჩამოიშალა.

„ბოლო კვირებში დევნილებს ჰქონდათ მოლაპარაკება შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან მათ განსახლებაზე, თუმცა წარმოდგენილი პირობები მათთვის მისაღები არ აღმოჩნდა. მოლაპარაკებების დროს ხელისუფლება დევნილებს საცხოვრებლით უზრუნველყოფის ორ ალტერნატიულ გზას სთავაზობდა: 1. საკუთარი რესურსით ბინის მოძიება თბილისში, რომლის შესყიდვასაც სახელმწიფო უზრუნველყოფდა. 2. ქირის თანხის მიღება და ქირით ცხოვრება მანამ სანამ სახელმწიფო მათთვის შესყიდული ბინების მშენებლობას დაასრულებდა.

დევნილები ჩვენთან განმარტავენ, რომ შემოთავაზებული პირველი პირობა მათთვის მისაღები არ აღმოჩნდა, რადგან სახელმწიფო მათ უკვე ექსპლუატაციაში შესული ბინების წინასწარ შესყიდვას სთხოვდა და სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული თანხა (1 კვ.მ. ფართზე 550 დოლარის ოდენობით) ამ მდგომარეობის ბინების შესაძენად, არასაკმარისი იყო. მეორე ალტერნატივის მიმართ კი დევნილებს უნდობლობა ჰქონდათ, რადგან მათი თქმით, სახელმწიფომ არ მისცა სამართლებრივი გარანტიები, რომ ბინის ქირას საკმარისი პერიოდით მიიღებდნენ. ამასთან, 300 ლარად ბინის ქირით მოძიება (ბაზარზე არსებული ინფლაციის გათვალისწინებით) მათთვის რთული იქნებოდა“, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადების ავტორთა აზრით, ბატონი ზურაბ ჭიჭოშვილის გარდაცვალება სოციალური ფრუსტრაციისა და კრიზისის ყველაზე მძიმე გამოხატულება ჩანს და ის დევნილების საკითხების მიმართ ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოების მაქსიმალური მობილიზაციის წინაპირობა უნდა გახდეს.

„კიდევ ერთხელ გვსურს, ხაზი გავუსვათ სახელმწიფოს ვალდებულებას, უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს სანატორიუმში მაცხოვრებლების უსაფრთხოება და მათთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნა და მოვუწოდებთ მთავრობასა და შესაბამის უწყებებს: დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სანატორიუმში მცხოვრებ დევნილთა გადაყვანა უსაფრთხო და ადეკვატურ საცხოვრისში; მოახდინოს ამ შენობაში მცხოვრები ადამიანების ინტერესების უპირობო პრიორიტეტიზაცია და უმოკლეს ვადებში, პირველივე შესაძლებლობისთანავე, უზრუნველყოს ისინი ღირსეული საცხოვრისით; პროაქტიურად, ცენტრალური და მუნიციპალური ხელისუფლების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, განხორციელდეს უსაფრთხოების რისკების წინაშე მდგარ სხვადასხვა ობიექტებში მცხოვრები დევნილების მდგომარეობისა და საჭიროებების კვლევა და მათი დროული განსახლება ჯეროვანი ალტერნატივების შექმნის გზით; იმსჯელოს დევნილთა საჭიროებების, ინტერესების და წუხილების რეპრეზენტაციის უკეთეს ინსტიტუციურ გზებსა და მექანიზმებზე“, – ნათქვამია განცხადებაში.

# ნაციონალურმა მოძრაობამ ახალი სამდივნო წარადგინა

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ახალი სამდივნო წარადგინა. პარტიას, ჯამში, 12 სხვადასხვა მიმართულების მდივანი ეყოლება, რომლებიც პარტიის ყოველდღიურ მუშაობას უზრუნველყოფენ.

**ახალ სამდივნოს წარმოადგენენ:**

1. **გენერალური მდივანი** – პეტრე ცისკარიშვილი
2. **გენერალური მდივნის მოადგილე** – ადმინისტრაციული საკითხების მდივანი – ზურა მელიქიშვილი
3. **საგარეო საკითხთა მდივანი** – თინათინ ბოკუჩავა
4. **ანალიტიკური საქმიანობის მდივანი** – გიორგი თარგამაძე
5. **საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციების მდივანი** – დიმიტრი ჩიქოვანი
6. **რეგიონული მდივანი** – გიორგი ბოტკოველი
7. **საორგანიზაციო მდივანი** – ბაჩო დოლიძე
8. **იურიდიული და საარჩევნო საკითხების მდივანი** – ლევან ბეჟაშვილი
9. **სტრატეგიული კომუნიკაციების მდივანი** – ნიკა ობოლაძე
10. **სტრატეგიული განვითარებისა და რეფორმების მდივანი** – ანა გოგოლაძე
11. **ანტიკორუფციული საკითხების მდივანი** – ლევან ხაბეიშვილი
12. **პოლიტიკური მდივანი** – აკაკი მინაშვილი
13. **მედიასთან ურთიერთობის მდივანი** – გიორგი პატარაია.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „თურქეთში წამალი სამჯერ იაფია, ვიდრე საქართველოში“

## აკაკი ზოიძე: „თურქეთის ბაზრის გახსნა მისასალმებელია, ახალ მონოპოლისტს ვერ წარმოშობს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი აკაკი ზოიძე პასუხობს.**

***– ბატონო აკაკი, ეს წელი საკმაოდ სასიამოვნო სიახლით დაიწყო პრემიერმა. როგორც ყველასთვის ცნობილია, გაიხსნა თურქეთი ბაზარი, საიდანაც გაცილებით დაბალ ფასში შემოვა მედიკამენტები. ამ ფონზე გაჩნდა შიშიც, ითქვა ისიც, რომ თურქეთი ცნობილია ფალსიფიცირებული წამლებით. რა საფრთხეებზე, სიკეთეებზე შეიძლება ვისაუბროთ? როგორია თქვენი შეფასებები? ამდენი წელია, მონოპოლიური ბაზარი ვერ გაირღვა და ახლა ეს სიახლეც გვაქვს. რას იტყვით თქვენ?***

– ვერ ვიტყოდი, რომ ყველაზე დიდი პრობლემა ჩვენთან მონოპოლიური ბაზარია. ყველაზე დიდი პრობლემაა წამლის ხარჯი. კი, ფასიც, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ უფრო არა, რაოდენობა, ანუ წამლების რაციონალური მოხმარება. დღეს წამლების ბაზარი სწორედაც რომ არ არის დარეგულირებული. აი, ეს არის პრობლემა და არის შესაძლებლობა იმისა, რომ არაეთიკური მარკეტინგი აწარმოონ ფარმაცევტულმა კომპანიებმა, ექიმები დააინტერესონ იმით, რომ რაც შეიძლება მეტი წამალი გამოუწერონ ავადმყოფს.

***– ანუ საუბრობთ გარიგებაზე ექიმებსა და ფარმაცევტულ კომპანიებს შორის? თქვენც ადასტურებთ ამას?***

– დიახ. ეს ფაქტია და მე დავადასტურებ თუ არ დავადასტურებ, ამას მნიშვნელობა არ აქვს. სამწუხაროდ, არ არის სრულყოფილი საკანონმდებლო მექანიზმები, რომ ეს აიკრძალოს. არსებობს კანონი, მაგრამ – არასრულყოფილი. იქ არ არის აღსრულების მექანიზმი ჩადებული და ვერც დაუმტკიცებ, რომ ეს ამის გამო ხდება. გეტყვის ექიმი, მე ასე ვთვლი, რომ სწორედ ეს წამალი, ამ კომპანიის და ამ რაოდენობით სჭირდებაო. გადაწყვეტილებას იღებს მკურნალი ექიმი.

***– ხშირად მიგვითითებენ ექიმები კონკრეტულ კომპანიებსა და კონკრეტულ მედიკამენტებზე.***

– ეს კატეგორიულად არ შეიძლება. ხშირად ექიმი პირდაპირ უწერს რეცეპტზე კონკრეტულ წამალს და ხშირ შემთხვევაში ეს მედიკამენტი არც იაფია და არც მაღალხარისხიანი, პირიქით, რაღაც გაურკვეველი წარმომავლობისაც შეიძლება იყოს. სხვათა შორის, ამით დაკავებული არ არიან დიდი ფარმაცევტული კომპანიები, ცნობილი ბრენდები მსოფლიოში, რადგან ასეთი არაეთიკური მარკეტინგის წარმოება მათ ბიზნესეთიკაში არ შედის და მათ წარმომადგენლობებს ეს აკრძალული აქვთ. გაგიკვირდებათ და ჩვენს ბაზარზე ცნობილი ოთხი კომპანია ამაში ექვმიტანილი არ არის. შეიძლება, რაღაც სეგმენტი ამას აკეთებს, მაგრამ ძირითადად არ არიან ამით დაკავებული.

***– მაშინ, ვინ არიან ამაში ეჭვმიტანილი?***

– ეს თემა თავის დროზე თურქეთსა და აზერბაიჯანში რეგისტრირებულმა გარკვეულმა კომპანიებმა შემოიტანეს. მერე ამას სხვებიც აჰყვნენ. მოკლედ, მთავარი ამოცანა აქ არის გამჭვირვალობა, რის შესაძლებლობასაც მოგვცემს ელექტრონული რეცეპტურის დანერგვა, რაც ერთ-ერთი რეკომენდაციაა და ჩადებულია კონკურენციის სააგენტოს ჩამონათვალში. ორი წლის წინ ჯანდაცვის კომიტეტმა ჩაატარა მოკვლევა ამ თემაზე და დადო ძალიან აქტუალური რეკომენდაციები, რომლებიც დღესაც აქტუალურია და აუცილებელია მისი განხორციელება.

***– რა მოცემულობა იქნება ბაზარზე ამ ახალი ცვლილებით?***

– სწორედ ამაზეა ლაპარაკი, რომ მხოლოდ თურქეთის გახსნა არაფერს არ უშველის. კი, ძალიან პოზიტიური, სწორი ნაბიჯია და ეს იყო რეკომენდებული, როგორც გითხარით, იმ სხვა ნაბიჯებთან ერთად, რომელიც ამ არაეთიკურ მარკეტინგს მოუვლის.

***– პარალელურ რეჟიმში სხვა ნაბიჯებიც უნდა გადაიდგას?***

– დიახ, ასეა. იმავე კონკურენციის სააგენტომაც ეს დადო. 13 რეკომენდაციაა იქ მოცემული. ამას გარდა, ჩვენი კომიტეტის მიერ დადებული რეკომენდაციები იყო ორი წლის წინ. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო და ახლა ნელ-ნელა ხორციელდება. მათ შორის იყო თურქეთის ბაზრის გახსნის თემაც.

***– თურქული მედიკამენტები საკმაოდ იაფია და ეს შვებას მისცემს ჩვენს მოსახლეობასო. თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ხარისხი.***

– რატომ არის იაფი? იაფი იმას კი არ ნიშნავს, რომ უხარისხოა, იმიტომ არის იაფი, რომ თურქეთის ბაზარი დიდია, 80 მილიონზე მეტი ადამიანია. ამიტომ დიდი ფარმაცევტული კომპანიები მოდიან სერიოზულ ფასდაკლებაზე, ეს ერთი, მეორე თემა არის ის, რომ ამ წამლების უდიდესი ნაწილი იწარმოება ისევ თურქეთში. ცნობილი ბრენდების ქარხნებია განთავსებული და თურქეთში იმავე ბრენდის წამალს აწარმოებენ. მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი, სახელმწიფო საკმაოდ დიდ სუბსიდირებას უკეთებს ჯანდაცვის პროგრამების მეშვეობით წამლის ღირებულებას. აი, ამ სამი ფაქტორის გამო თურქეთის მოქალაქეებისთვის წამალი არის იაფი. ხშირ შემთხვევაში 1/3 ფასია, ვიდრე ჩვენთან და ამაზე საუბარი უკვე ბევრჯერ იყო.



**„ექიმებსა და ფარმაცევტულ კომპანიებს შორის გარიგება უნდა აიკრძალოს“**

***– შესაძლოა, რაიმე პრობლემა შეიქმნას ამ კუთხით?***

– პრობლემა არის ის, რომ თვითონ თურქეთმა უნდა მოგცეს ნებართვა, ამ პირობებით შემოვიდეს მედიკამენტები. აქამდე მხოლოდ იმ ქვეყნებიდან შემოდიოდა მედიკამენტები, რომლებსაც მკაცრი მარეგულირებელი ჰყავთ. ამ მექანიზმის გათვალისწინებით 2009 წლიდან ჩვენს ბაზარზე 4 წლის განმავლობაში გაიაფდა წამლები, მაგრამ მერე ადაპტაცია მოხდა და ისევ გაძვირდა. თურქეთი ამ შემთხვევაში ევროპასთან შედარებითაც იაფია. თუმცა აქამდე თურქეთი დაშვებული არ გვყავდა, იყო ბრიტანეთი, ევროკავშირი და ასე შემდეგ, მაგრამ არა თურქეთი, იმიტომ რომ, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ფალსიფიკაციის საფრთხე იყო. შენ შეგიძლია, წახვიდე თურქეთში, დაარეგისტრირო წამალი და, როგორც თურქული, ისე შემოიტანო.

***– ახლა აღარ იქნება ეს საფრთხე?***

– უნდა გქონდეს ხელმისაწვდომობა თურქეთის მარეგულირებელ ბაზართან. თუ ეს ხელმისაწვდომობა არა გაქვს, მაშინ ფალსიფიკაციის საფრთხე მაღალია. სწორედ ამიტომ, რეკომენდაცია რომ დაიდო თავის დროზე, ის კი არ იყო მიზანი, პირდაპირ შევიტანოთ თურქეთი სიაში, არამედ, მთავარი მიზანი იყო, მომხდარიყო თურქეთის სამინისტროსთან და მის მარეგულირებელთან თანამშრომლობა და ცოცხალ რეჟიმში წვდომა ჰქონოდა ჩვენს სააგენტოს მათი წამლების სააგენტოსთან და მონაცემთა ბაზასთან, რომ თითოეულ პარტიაზე, როდესაც მოგვთხოვენ, რომ მედიკამენტი შემოიტანოს, ვინც არ უნდა იყოს, ფიზიკური პირი თუ იურიდიული, მაშინვე მოხდეს გადამოწმება.

***– ვის ექნება თურქეთიდან მედიკამენტების შემოტანის უფლება?***

– მეც და თქვენც შეგვიძლია, შემოვიტანოთ, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ვისაც შეუძლია ამ საქმიანობის წარმოება.

***– ახალი მონოპოლისტის გაჩენის საფრთხე არ არის ამ ბაზარზე?***

– პირიქით, ეს ხელს შეუწყობს კონკურენციას. ამით იქმნება იმის საშუალება, რომ შედარებით იაფად, ნაკლებად ძვირი წამლები შემოვიტანოთ. სწორედ ეს არის მთელი იდეა, რომ კონკურენციას უწყობს ხელს და ერთი ვიღაცა ვერ იქნება მონოპოლისტი. ჩვენც ვისარგებლეთ იმ შეღავათებით, რომლებითაც სარგებლობენ თურქეთის მოქალაქეები. ჩვენთვის ეს არის ცალსახად პოზიტიური. ერთადერთი, ფალსიფიკაცია უნდა გაკონტროლდეს და იმით, რომ წვდომა იყოს მათ მონაცემთა ბაზასთან. თურქეთის სახელმწიფოს კეთილი ნება ეს არის, რომ მათ უნდა მოგვცენ წვდომა ამაზე. დანარჩენი საკითხია ჩვეულებრივი ბაზრის თემა. ამ შემთხვევაში უკვე ვეღარ ექნებათ იმის საშუალება, ქრთამები უხადონ ექიმებს, რომ კონკრეტული წამალი გამოწერონ. არაეთიკური მარკეტინგის ხარჯები საკმაოდ მაღალია და ამიტომ ღირს წამალიც ძვირი. როდესაც შემოვიტანთ თურქეთიდან და გვეცოდინება, რომ ის ნამდვილად ხარის-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „საპროტესტო აქციები დაიწყება. მძიმე პერიოდი გველოდება“

## ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიცია ვერ ახერხებს თავისი როლისა თუ ფუნქციის შესრულებას. საზოგადოება თავის პრობლემებთან მარტო პირისპირ დარჩა“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, რამდენად რეალურია პროგნოზი, გაზაფხულზე ადამიანები სოციალური მოთხოვნებით გამოვიდნენ პოლიტიკოსების მოწოდებების გარეშე?***

– ქვეყანაში სერიოზული პრობლემებია სოციალური, ეკონომიკური კუთხით, რომელსაც ოპოზიცია, სამწუხაროდ, ვერ იყენებს. აქ ვგულისხმობ პირველ რიგში პრობლემების ადეკვატურად შეფასებას, მისი მოგვარების რეალური ხედვისა თუ გეგმის დადებას. დღეს ოპოზიცია ვერ ახერხებს თავისი როლისა თუ ფუნქციის შესრულებას. საზოგადოება თავის პრობლემებთან მარტო პირისპირ დარჩა. ოპოზიცია სადღაც სხვაგან არის და, შეიძლება ითქვას, მეათეხარისხოვანი პრობლემებით არის დაკავებული.



**„ნაციონალური მოძრაობა ვერ იქნება ოპოზიციური ამომრჩევლის გამაერთიანებელი“**

***– ხელისუფლების ბოლო სოციალური ინიციატივა, წამლებთან დაკავშირებით, ელექტრომატარებლების სუბსიდირებაზე, შეიძლება, ამითაც იყოს ნაკარნახევი?***

– რა თქმა უნდა! ხელისუფლება ხვდება, რომ ვითარება გართულდება, კიდევ უფრო მწვავე პრობლემები შეიქმნება და ამიტომ იღებს ამ გადაწყვეტილებას. და აქამდე ხომ იყო ეს ყველაფერი ცნობილი, რას სწავლობდნენ?! საქართველოში სამი სექტორია, რომელსაც შესწავლა არ სჭირდება, რომელიც ზემოგებაზე მუშაობს: საბანკო სექტორი, სააფთიაქო ბიზნესი და ნავთობპროდუქტების სფერო. 30 წლის განმავლობაში ამ მხრივ არაფერი უკეთესობისკენ არ შეცვლილა ქვეყანაში.

ამიტომ სწორი გადაწყვეტილებაა, მაგრამ, რომ გითხრათ წამლებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, რომ თურქული ბაზარი გაიხსნება და მხოლოდ თურქული მედიკამენტების შემოსვლა ფარმაცევტულ ბაზარს გააჯანსაღებს და წამლების ფასსაც დაარეგულირებს, ასე არ არის.

როგორც წესი, თებერვალი, მარტი, აპრილი საქართველოში ყოველთვის იყო რთული პერიოდი, წელიწადის ყველაზე მძიმე დრო სოციალური, ეკონომიკური კუთხით. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ საპროტესტო აქციები დაიწყოს, განსაკუთრებით იმ ფონზე, რაც ჩვენს მეზობელ ქვეყნებსა და ზოგადად რეგიონში ხდება.

***– ყაზახეთში განვითარებული მოვლენები, შეიძლება, ერთგვარი ინსპირაციაც აღმოჩნდეს?***

– არაფერი არ არის გამორიცხული, თუმცა, მე არ ვთვლი, რომ მოვლენები იდენტურად განვითარდება და ზუსტად მოხდება მისი გადმოტანა.

***– უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ, რას გულისხმობთ?***

– საქართველო ბევრად უფრო რთულ მდგომარეობაშია, ვიდრე ყაზახეთი და ახლავე აგიხსნით, რას ვგულისხმობ: ყაზახეთს არ აქვს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და არც რუსეთთან ასე ღია დაპირისპირება. საქართველო სულ სხვა რეალობაში იმყოფება. რუსეთი ყოველ წუთს, შეიძლება ითქვას, ეძებს აქ საბაბს, რომ კვლავ მოიტანოს ჩვენზე იერიში სამხედრო აგრესიითა თუ სხვა სახით. ამიტომ, ვინც არ უნდა იყოს, ოპოზიცია თუ ხელისუფლება, ძალიან გონივრულად მოუწევს ყველა ნაბიჯის გადადგმა, რომ რაიმე სახის პროვოკაციებს არ წამოეგოს.



მეორე მხრივ, ხელისუფლება ურთულეს მდგომარეობაში იმყოფება. მან უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რომ ხალხი მართლაც სტიქიურად არ გამოვიდეს ქუჩებში და ეს არ გახდეს გარეშე ძალებისთვის და პირველ რიგში რუსეთისთვის პროვოცირების შესაძლებლობა.

***– ხათუნა სამნიძე აცხადებს, თუ მთელი ოპოზიციის დღის წესრიგი უნდა იყოს მხოლოდ სააკაშვილის გათავისუფლება, მაშინ ეს არც ოპოზიციას მოუტანს შედეგს და არც ქვეყანას. როგორი უნდა იყოს ამ ფონზე ოპოზიციის პოლიტიკა?***

– სააკაშვილის ფაქტორი უკვე გაჭრილი კარტია. ამ კარტის გამოყენება ოპოზიციის მიერ უკვე არის წინასწარ წაგებული თამაში. ამ ფაქტორს აქამდე უნდა ემუშავა. რაც დრო გავა, სააკაშვილის გავლენა პოლიტიკურ ცხოვრებასა თუ დღის წესრიგზე უფრო დაიკლებს. ამიტომ ოპოზიციას სულ სხვა პოლიტიკის წარმოება მართებდა ადრეც და მართებს დღესაც.

ზოგადად ქვეყანაში პოლიტიკა და მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება-არგათავისუფლება ორი სხვადასხვა საკითხია. ოპოზიცია უნდა ჩამოყალიბდეს. აშკარაა, რომ ოპოზიცია პლუს ნაციონალური მოძრაობა, ასეთი ტანდემი, ასეთი დიდი გაერთიანება შედეგის მომტანი ვერ იქნება, ვერ იმუშავებს. ჯერ ერთი, სრული გაერთიანება ვერ მოხდება და მეორე, ამომრჩეველი, რომელსაც არც „ქართული ოცნება“ უნდა და არც ნაციონალური მოძრაობა, სხვაგან წავა ან საერთოდ არ წავა არჩევნებზე. ამის გააზრება უნდა მოხდეს.

ნაციონალურ მოძრაობას თავისი ამომრჩეველი ჰყავს და ის ამ ამომრჩევლის მობილიზებაზე იზრუნებს. დანარჩენებმა კი უნდა იზრუნონ, რომ ახალი ამომრჩეველი მოიზიდონ, რომელსაც არც ერთი უნდა და არც მეორე. ნაციონალური მოძრაობა ვერ იქნება ოპოზიციური ამომრჩევლის გამაერთიანებელი. ამომრჩევლის გაერთიანების გარეშე ხელისუფლების დამარცხება არ ხდება ამ ქვეყანაში. 2012 წელს ივანიშვილის ფრაზა – „შუა უნდა გაიკრიფოს“ – სწორედ ამას ემსახურებოდა.

**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# ამერიკელი ექსპერტები ვაშინგტონსა და ნატოს ურჩევენ, უკრაინასა და საქართველოს შეიარაღება მიაწოდონ

## „რუსეთი პანიკაშია. ის უკრაინასა და საქართველოში ამერიკული ჯარების შესვლას მოელის“

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე დღის წინ დასავლეთსა და რუსეთს შორის ევროპაში გამართული უშედეგო მოლაპარაკებების შედეგად ვითარება ევროპაში, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა სივრცეში, უკიდურესად დაძაბული რჩება.

საზოგადოება რუსეთის უკრაინაში შეჭრის მოლოდინშია. კრემლის მხრიდან სხვაგვარ აგრესიასაც არ გამორიცხავენ. მორიგი შესაძლო აგრესიის ობიექტად სახელდება საქართველო. ბოლო დროს სწორედ უკრაინა და საქართველო მოექცნენ ყურადღების ცენტრში და რუსეთის ერთ-ერთი ულტიმატუმი ნატოს გაფართოების შეჩერების თაობაზე პირველ რიგში უკავშირდება ამ ორ სახელმწიფოს.



აშშ-ის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ჯონ ბოლტონი, რომელიც პრეზიდენტ ტრამპის მრჩეველი იყო უსაფრთხოების საკითხებში და საქართველოშიც იმყოფებოდა, ვარაუდობს, რომ პუტინის გეგმები უფრო ფართოა, ვიდრე შეტევა უკრაინაზე. ეს არის გამოწვევა ბაიდენისადმი „ბრძოლით დაზვერვის“ სახით.

მისი აზრით, კრემლის განზრახვების ერთ-ერთი ვარიანტი შესაძლოა იყოს კიევთან მიახლოება, ზელენსკის ხელისუფლების დამხობა და უკრაინის სათავეში მოსკოვზე ორიენტირებული ლიდერის მოყვანის ხელშეწყობა:

– პუტინს შეუძლია უბრძანოს რუსეთის ჯარების კოლონებს, მიუახლოვდნენ კიევს, გამოიჩინოს მისი მოწყვლადობა, როგორც ეს რუსეთმა გააკეთა საქართველოში 2008 წელს, როცა მიუახლოვდა თბილისს, რის შემდეგაც თავისი გეგმის შესაბამისად დაიხია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ვოლოდიმირ ზელენსკის მთავრობის დამხობა და იმედი (ან ხელშეწყობა) იმისა, რომ სათავეში მოვა მოსკოვზე ორიენტირებული ლიდერი, სავსებით განხორციელებადი გეგმებია. რუსეთს შეუძლია, დაიკავოს და შეინარჩუნოს მნიშვნელოვანი ტერიტორია უკრაინის აღმოსავლეთსა და სამხრეთში ყირიმისა და დონბასის ფარგლებს გარეთ.

ბოლტონი შიშობს, რომ აშშ და ევროპა მოვლენების ამგვარ განვითარებას პასიურად შეხვდებიან და იტყვიან, რომ, შესაძლოა, ყველაფერი უარესად ყოფილიყო.

– რა იქნება მაშინ, თუ მოსკოვი ფიქტიური მოლაპარაკებების გზით ცდილობს თავისი პოზიციების გამაგრებას მოლდოვის მარიონეტულ დნესტრისპირეთში? იქნებ რუსეთი იგონებს საბაბს ახალი აგრესიისათვის საქართველოს წინააღმდეგ? – სვამს შეკითხვას უსაფრთხოების სპეციალისტი.

ბოლტონი მოუწოდებს აშშ-სა და ნატოს, სასწრაფოდ შეიმუშაონ სტრატეგია „ნაცრისფერი ზონის“ ქვეყნებისათვის, ანუ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც აღმოჩნდნენ ნატოს აღმოსავლეთ საზღვრებსა და რუსეთის დასავლეთის საზღვრებს შორის. ასეთ ქვეყნებში მოიაზრებიან საქართველო და უკრაინა. მისი აზრით, უნდა განისაზღვროს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინტერესი ასეთი ქვეყნების მიმართ. ნატომ იმავდროულად ოპერატიულად უნდა შეაკავოს რუსეთი აგრესიული განზრახვებისაგან.



ამერიკელი მოღვაწე ასევე აყენებს რუსეთისთვის მნიშვნელოვანი გაზსადენის – „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის ამოქმედების პირობას. მისი წინადადებით, ევროპასთან დამაკავშირებელი ეს გაზსადენი უნდა ამუშავდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ რუსეთი გაიყვანს თავის ჯარებს იმ სახელმწიფოებიდან, რომლებსაც მათი იქ ყოფნა არ სურთ.

ბოლტონი ვაშინგტონსა და ნატოს ურჩევს, გაზარდოს სამხედრო დახმარება უკრაინისადმი. მისი თქმით, უკრაინას (და, შესაძლოა, საქართველოსა და სხვებსაც) უნდა მიეწოდოს ლეტალური შეიარაღება. იქ ასევე უნდა გადაისროლონ დამატებითი ძალები არა საბრძოლო მოქმედებებისთვის, არამედ, უკრაინელ კოლეგებთან ერთად წვრთნების ჩასატარებლად.

ბოლტონის თქმით, უკრაინაზე რუსეთის თავდასხმის აღსაკვეთად აშშ და ნატოს სხვა წევრები მას ეკონომიკური სანქციებით დაემუქრნენ. იქნება თუ არა ეს საკმარისი რუსეთის შესაკავებლად, გაურკვეველია. რუსეთმა უნდა დაარღვია ევროპის საზღვრები. ეს მოხდა საქართველოში 2008 წელს და უკრაინაში 2014 წელს. რუსეთი მხარს უჭერდა გაყინულ კონფლიქტებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

უსაფრთხოების სპეციალისტი ვაშინგტონს რუსეთთან მეტი გაბედულებისა და პრინციპულობის გამოჩენისკენ მოუწოდებს.

ხორვატი მიმომხილველები დარწმუნებული არიან, რომ დასავლეთს რუსეთისა არ ეშინია. რომ ეშინოდეს, უკრაინის დონბასს რუსეთს დაუთმობდა. მათი აზრით, რუსეთი პანიკაშია. ის მოითხოვს დაპირებებს იმის თაობაზე, რომ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდება. რუსეთი უკრაინასა და საქართველოში ამერიკული ჯარების შემოსვლას მოელის. კრემლი იმასაც უშვებს, რომ ისინი გამოჩნდებიან ბელარუსსა და ყაზახეთშიც კი.

ავტორების თქმით, პუტინის ქმედებები ჰგავს გერმანიის მუქარებს. ცივ ომში დამარცხების შემდეგ გონზე მოსული პუტინი იმუქრება ისევე, როგორც იმუქრებოდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აღდგენილი გერმანია მეორე მსოფლიო ომის წინ. ახლა სტრიქონებს შორის იკითხება, რომ პუტინი ჰიტლერია. შესაძლოა, მალე პუტინის ჰიტლერთან მსგავსება პუბლიკაციების სათაურებში გადმოვიდეს.

# გია ვოლსკი: „საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის გაერთიანება გახარიას პოზიცია იყო“

– საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ერთ სტრუქტურაში გაერთიანება გიორგი გახარიას პრინციპული პოზიცია იყო, იმის მიუხედავად, რომ საექსპერტო საზოგადოება ასეთი გაერთიანების კატეგორიულად წინააღმდეგი იყო.

ეს განცხადება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ ჟურნალისტებთან გააკეთა.

ამ განცხადებით ვოლსკიმ კომენტარი გააკეთა მმართველი გუნდის გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც, 2022 წლის 1 მარტიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უქმდება და მის ნაცვლად 2 უწყება – სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური – იქმნება.

ვოლსკის მტკიცებით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებასთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში პოლიტიკური ასპექტი არ არის.

– თუმცა არის ერთი საკითხი – ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული ფუნქციის ერთ უწყებაში გაერთიანება, იმის მიუხედავად, რომ არასამთავრობო ორგანიზაციათა დიდი ნაწილი ამის წინააღმდეგი იყო და აბსურდად მიიჩნევდნენ, ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერის პრინციპული პოზიცია იყო. ეს პიროვნება გიორგი გახარია იყო, ვინც მაინც ასე გადაწყვიტა, იმის მიუხედავად, რომ საექსპერტო საზოგადოება ორი ფუნქციის ერთ სტრუქტურაში გაერთიანების კატეგორიულად წინააღმდეგი გამოდიოდა.

სამართლებრივ ნაწილში პარლამენტმა აბსოლუტურად გამართული გადაწყვეტილება მიიღო. ვადევნოთ თვალი, თუ როგორ იმოქმედებს ერთი თუ მეორე უწყება მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

მისივე თქმით, კონკრეტული პრობლემები და შემთხვევები, რომლებიც სოციალურ ფონზე ხდება, უმალ პოლიტიკური სპეკულირების თემად გადაიქცევა.

ასეთია გია ვოლსკის პოზიცია „ლელოს“ ინიციატივაზე სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ.

როგორც ვოლსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, საპარლამენტო სესია მალე გაიხსნება და პარლამენტს არც ჯანდაცვის მინისტრი დააკლდება და არც სხვა ნებისმიერი მინისტრი, რომელიც მოდის და პარლამენტს ანგარიშს აბარებს – გინდ კომიტეტში და გინდ პლენარულ სხდომაზე.

– ოპოზიციას ამ მიმართულებით არასდროს უმუშავია და არც შეკითხვები დაუსვამს. აშკარაა, რომ ადგილი აქვს სპეკულაციას, ვინაიდან რა უნდა გაკეთდეს, ამასთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტრომ განცხადება გააკეთა, ხოლო შედეგი, რას მივიღებთ, უახლოეს 10 დღეში იქნება ცნობილი. პარლამენტის მუშაობა 1 თებერვალს იწყება, – აღნიშნა გია ვოლსკიმ.

# „ველოდებით ომბუდსმენის სამედიცინო გუნდის ანგარიშს“

## ჰარცელმა სააკაშვილზე აზრი გამოთქვა



ევროკავშირის ელჩი, კარლ ჰარცელი, ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით ყურადღებით აკვირდებიან სამ ძირითად საკითხს – მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას, მის მიმართ მოპყრობასა და სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

ჰარცელის თქმით, ის ელოდება სახალხო დამცველის სამედიცინო გუნდის ანგარიშს, რომელიც 19 იანვარს გამოქვეყნდება.

„მიხეილ სააკაშვილის საქმეს თავიდანვე ყურადღებით ვაკვირდებით, ძირითადად სამი კუთხით: პირველი და უმნიშვნელოვანესი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაა, მეორე, მის მიმართ, როგორც პატიმრის მიმართ მოპყრობა და მესამე, რომ მის საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები იყოს სამართლიანი...

19 იანვარს ველოდებით სახალხო დამცველის სამედიცინო გუნდის ანგარიშს და ძალიან მნიშვნელოვანია, როგორი იქნება ამ ჯგუფის შეფასებები, ვინაიდან ობიექტური სამედიცინო რეკომენდაციის გათვალისწინება მნიშვნელოვანი ფაქტორია იმ დროს, როდესაც აფასებ, თუ როგორია სიტუაცია და რისი გაკეთებაა საჭირო მომავალში“, – აღნიშნა ევროკავშირის ელჩმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი სახალხო დამცველის მიერ შექმნილმა კონსილიუმმა 11 იანვარს მოინახულა.

მესამე პრეზიდენტს კონსილიუმის 8 წევრიდან 5 შეხვდა და მის ჯანმრთელობის მდგომარეობას გაეცნო.

# „სააკაშვილისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას მოვითხოვთ“

## ადვოკატების განცხადება



მიხეილ სააკაშვილის ადვოკატები ყოფილი პრეზიდენტისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას მოითხოვენ.

შესაბამისი განცხადება სააკაშვილის ინტერესების დამცველებმა გენერალურ პროკურატურაში გუშინ, 18 იანვარს, შეიტანეს. საქმე ეხება გლდანის №18 დაწესებულებაში პატიმრის შესახლების დროს განვითარებულ მოვლენებს.

– ჩვენ ვიმყოფებით გენერალური პროკურატურის წინ, იმისთვის, რომ შევიტანოთ მოთხოვნა პროკურატურაში მიხეილ სააკაშვილის დაზარალებულად ცნობის თაობაზე.

სახელმწიფო ინსპექტორს მოვუწოდებთ, გამოაქვეყნოს მის ხელთ არსებული ვიდეომასალა, რადგან ამასთან დაკავშირებით დაზარალებული სააკაშვილის თანხმობა არსებობს, – განაცხადა ნიკა გვარამიამ განცხადების შეტანის წინ.

# „თურქეთში წამალი სამჯერ იაფია, ვიდრე საქართველოში“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ხიანი პროდუქციაა, ეს პაციენტსაც ეცოდინება და აქ სწორედ კრიტიკული ფაქტორია ელექტრონული რეცეპტის თემა. ამ შემთხვევაში ყველაფერი გამჭვირვალე ხდება, კონკრეტული ექიმი როგორ, რას და რამდენ წამალს უწერს პაციენტს.

***– რამდენად მარტივი იქნება ამ კლანთან გამკლავება?***

– სწორედ ასეთი მექანიზმებით უნდა გაუმკლავდნენ, რაც მე გითხარით. მარტო ჩვენთან კი არ ხდება, მთელ მსოფლიოში ეს პრობლემაა. მაგალითად, ამერიკაში სპეციალური კანონი მიიღეს – ექიმი ვალდებულია, საჯაროდ განაცხადოს, თუ რაიმე დაინტერესება აქვს ფარმაცევტულ კომპანიაში, ვალდებულია, პაციენტს უთხრას, თუ აქვს რაიმე დაინტერესება და პაციენტი თავად გადაწყვეტს, შეიძინოს თუ არა ამ კომპანიის მედიკამენტი და ენდოს თუ არა ამ ექიმის დანიშნულებას. ელექტრონული რეცეპტურა ამ პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ მოაგვარებს. საჯაროობით, გამჭვირვალობით, თურქეთის ბაზრის გახსნით, სახელმწიფოს მიერ უფრო მეტი წამლის სუბსიდირებით ეს პრობლემები მოგვარდება. დღეს მხოლოდ 23 დასახელების წამალს აფინანსებს სახელმწიფო. ეს უნდა გაიზარდოს 100 წამლამდე. იმავე ამ 100 წამალზე უნდა მოხდეს ფასის რეგულირება, რომ ვინც სოციალურად დაუცველი არ არის, მაგრამ ქრონიკული დაავადების მატარებელია, მათაც შეღავათიან ფასში შეძლონ მედიკამენტების შეძენა.

***– სოციალურად დაუცველები ახსენეთ და ყველა ვერ ახერხებს ამ მედიკამენტების ათვისებას. მათ აქვთ გამოყოფილი გარკვეული თანხა მედიკამენტების შესაძენად, მაგრამ, როდესაც აფთიაქში მიდიან, მათ ფარმაცევტი ეუბნება, რომ ტელეფონში უნდა ჰქონდეთ მოსული მესიჯი და იმ შემთხვევაში შეძლებენ ამით სარგებლობას. ბევრს კი ტელეფონიც არ აქვს, რომ მესიჯი მიუვიდეს და თანაც ეს უაზრო რეგულაციებიც ამ ყველაფერს ხელს უშლის. ამაზე რას იტყვით?***

– არ მჯერა, რომ ვინმეს დღეს ტელეფონი არ აქვს, თუნდაც ყველაზე გაჭირვებულს. ეს ელექტრონული რეცეპტებიც სწორედ ამიტომაა ასე საჭირო, რომ არც მესიჯი დასჭირდება, ექიმთან უნდა მივიდეს, მან უნდა გამოუწეროს და ექიმის მომსახურება უნდა იყოს შეუზღუდავი ყველა დაუცველისთვის. ეს არის მთავარი ამოცანა. აქ პრობლემა უფრო სხვა რამეა – 23 წამალია და ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ რეალურად ამ ხალხს ტვირთი შევუმსუბუქოთ. ქრონიკული დაავადებების მქონე პირებისთვის ეს დიდი პრობლემაა. მნიშვნელობა არა აქვს, ის სოციალურად დაუცველია თუ რამდენი ქულის მატარებელია. ქრონიკული დაავადებების მატარებელ ადამიანებს თანაბრად შეღავათიან ფასში უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა საჭირო მედიკამენტებთან. ყველა მექანიზმი უნდა დაინერგოს იმისთვის, რომ ჩვენს მოქალაქეებს რეალურად შვება ვაგრძნობინოთ.

# „აკო ჭელიძე ნიკო კვარაცხელიას ზურგიდან ესვრის, კვარაცხელია გარბის და ჭელიძე მისდევს“

## პროკურორმა შაიშმელაშვილმა მკვლელობის დეტალები აღწერა

– სამმილიონნახევრიან საქართველოში ერთი ჭორიკანა არ გამოჩნდა, ვინც ნიკო კვარაცხელიაზე ცუდს იტყოდა. მასზე ყველა, როგორც ნოვატორზე, როგორც სიახლეების გენერატორზე, ისე საუბრობს. მართლა მაქვს კითხვა – რატომ? ამ კითხვაზე გამცენ პასუხი იმ ბრალდებულებმა, რომლებმაც მისი მკვლელობა ჩაიდინეს.

ეს სიტყვები 22 წლის ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის საქმის პროკურორმა გია შაიშმელაშვილმა სასამართლო პროცესზე განაცხადა.

საქმის არსებითი განხილვისას შესავალი სიტყვის წარმოთქმისას გია შაიშმელაშვილმა დეტალურად ისაუბრა კვარაცხელიას მკვლელობის დეტალებზე, მათ შორის, როგორ ჩაუსაფრდნენ მას ბრალდებულები, როგორ მოკლეს ის და როგორ მიიმალნენ.

პროკურორის თქმით, მკვლელობა ვიდეოკამერაზეა აღბეჭდილი და, რაც მან ნახა, ჰოლივუდის სცენარს ჰგავს.

– 15 სექტემბერს, დღის საათებში, ნიკოლოზ კვარაცხელია იმყოფებოდა პირად საქმეზე, კურიერს ელოდებოდა, გამოწერილი ნივთი უნდა გამოერთმია.

ალეკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე დღემდე დუმილის უფლებით სარგებლობდნენ, მათ მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინეს იარაღი, საბრძოლო მასალა – ტყვიები და მოემზადნენ ნიკო კვარაცხელიას მკვლელობისთვის. „ჰიუნდაი ელანტრა“ იქირავეს, მთელი დღის განმავლობაში უკან დასდევდნენ კვარაცხელიას კუთვნილ ავტომობილს და შესაფერის მომენტს ელოდებოდნენ.

საღამოს საათებში კავილაძე იჯდა საჭესთან, გვერდით ეჯდა ალეკო ჭელიძე, ნახეს კვარაცხელიას ავტომობილი, გაჰყვნენ მას უკან და მას შემდეგ, რაც ის ანჯაფარიძის ქუჩაზე შევიდა და ავტომობილი დააპარკინგა, კურიერთან მივიდა და გამოწერილი ნივთი გამოართვა. გიორგი კავილაძემ მანქანა კვარცხელიას მანქანიდან 15-20 მეტრში გააჩერა, საიდანაც ჭელიძე ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული გადმოვიდა.

ჭელიძე კვარაცხელიას ავტომობილთან დაელოდა, როდის დაბრუნდებოდა უკან. ნივთის აღების შემდეგ, კვარაცხელია პირისპირ ხვდება აკო ჭელიძეს, ის ზურგით შეტრიალდა ჭელიძისკენ, ბრალდებული იღებს ცეცხლსასროლ იარაღს და თითქმის მიბჯენით, იწყებს მისთვის ზურგში სროლას, ვაზნები არ ელევა, ერთი, ორი, სამი, ოთხი მოარტყა, კვარაცხელიამ ვერაფერი ქნა, მანქანაშიც ვერ ჩაჯდა, ძალაც არ ეყო და მანქანის უკან გაიქცა.

კვარაცხელიაც და ჭელიძეც ტოლები არიან, არ ვიცი, რა უნდოდათ. კვარაცხელია უკან ცდილობს გაქცევას, ჭელიძე უკან მისდევს, არ ანებებს თავს, კიდევ ერთი სროლა, კიდევ მეორე სროლა, მაინც არ დაანება თავი, წაქცეულს ესვრის, დაიღალა თვითონაც და მჭიდიც დაცალა. კვარაცხელია სისხლისგან იცლებოდა, ჭელიძე გაიქცა და კავილაძის ავტომობილში ჩაჯდა და ორივე გარბის.

ორივე აგლაძის ქუჩაზე დატოვებულ მანქანაში გადასხდნენ, მერე ტაქსებში, ყოველდღე იცვლიდნენ ადგილსამყოფელს და ბოლოს დავაკავეთ.

მკვლელობა კამერების ქვეშ ხდება, დათვლა შეიძლება სროლების, როგორ გარბის კვარაცხელია მანქანის უკან და როგორ ესვრის მას ჭელიძე, ეს ყველაფერი ჰოლივუდური ფილმის სცენარია, ამ ყველაფერს მტკიცებულების სახით წარმოგიდგენთ და თქვენც ზუსტად ეს განცდა დაგრჩებათ, რა განცდითაც ახლა გესაუბრებით.

არც პატარა ვარ და არც ცოტა მინახავს, მსგავსი არ მინახავს, სპეცეფექტებით არის გადაღებული, რომ იტყვიან. ამ კამერას თქვენ წინაშე რომ გამოვიკვლევთ, მერე ვკითხოთ ბრალდებულებს, ეს ქმედება რატომ ჩაიდინეს. არამხოლოდ კამერას, თვითმხილველებს წარმოგიდგენთ.

ნიკო კვარაცხელიას დაზიანებები იმდენად შეუთავსებელი იყო სიცოცხლესთან, მისი გადარჩენა ვერ მოხდა.

ნიკოლოზ კვარაცხელიას შესახებ არ ვიცოდი, ადამიანმა საზღვარგარეთ მიიღო ძალიან მაგარი განათლება, მაგრამ იქ არ დარჩა, შექმნა საკმაოდ მნიშვნელოვანი ონლაინ პლატფორმა, ძალიან ბევრი პროექტი ჰქონდა, სამმილიონნახევრიან საქართველოში ერთი ჭორიკანა არ გამოჩნდა, ვინც კვარაცხელიაზე ცუდს იტყოდა, პირიქით, მას ყველა, როგორც ნოვატორზე, როგორც სიახლეების გენერატორზე, ისე საუბრობს, მართლა მაქვს კითხვა – რატომ? ამ კითხვაზე გამცენ პასუხი იმ ბრალდებულებმა, რომლებმაც ეს ჩაიდინეს, – განაცხადა პროკურორმა შაიშმელაშვილმა.



❖ ❖ ❖

– ამ ორი გარეწრის თავში ეს ვერ მოიხარშებოდა. ჩვენთვის ყველაზე მთავარია, დადგინდეს უშუალოდ ვინ წააქეზა და დაუკვეთა ეს უმძიმესი დანაშაული ამ ორ ადამიანს, – განუცხადა ჟურნალისტებს მოკლული ნიკო კვარაცხელიას ოჯახის ადვოკატმა პაატა მეხრიშვილმა.

გიორგი კავილაძე და აკაკი ჭელიძე წარდგენილ ბრალს არ ეთანხმებიან.

ადვოკატის განცხადებით, მკვლელობის მოტივთან დაკავშირებით გარკვეული ვერსიები არსებობს, თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ ისაუბრებს.

– დიდი იმედი გვაქვს, არსებითი განხილვის მიღმა, გამოძიების ფარგლებში დადგინდებიან ის ადამიანები, რომლებმაც ეს დანაშაული ამ ორ ადამიანს დაუკვეთეს. ძალიან რთულია ამ ეტაპზე რამის თქმა, არ გვინდა გამოძიებას ხელი შევუშალოთ.

არსებობს გარკვეული ვერსიები – შურისძიების, დაკვეთის, თუმცა ამ ეტაპზე რამის თქმა გამიჭირდება. იმედი მაქვს, ამ ვერსიებზე გამოძიება მუშაობს და საბოლოო ჯამში სიმართლე გაირკვევა, – განაცხადა მეხრიშვილმა.

# კაპიტალ ბანკთან დაკავშირებით 17 პირის დევნა დაიწყო




გენერალურმა პროკურატურამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების ლეგალიზაციის ფაქტი გამოავლინა და დანაშაულებრივი სქემის მონაწილე 17 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.

ამის შესახებ ინფორმაციას გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

დანაშაულებრივ სქემაში მონაწილე 5 ფიზიკური და 12 იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ჯგუფურად ჩადენილი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ბრალდებით დაიწყო, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – ლიკვიდაციას, საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, ჯარიმას ან/და ქონების ჩამორთმევას ითვალისწინებს.

გამოძიების მიერ, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ზემოაღნიშნული იურიდიული პირების საბანკო ანგარიშებზე დაყადაღებულია 6.436.694 აშშ დოლარი, 30.402 ევრო და 15.332 ლარი. აგრეთვე, ყადაღა დაედო ბრალდებულების ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებულ ძვირადღირებულ უძრავ ქონებას.

„ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ სს „კაპიტალ ბანკის“ აქციათა 100% წილის მფლობელი ეტაპობრივად გახდა უცხოური კომპანია „ესოლ.ბ.ვ.“, რომლის ბენეფიციარ მესაკუთრეს უცხო ქვეყნის მოქალაქე რ.ა. წარმოადგენდა. სს „კაპიტალ ბანკის“ აქციათა მესაკუთრედ გახდომის და ბანკის მართვაში უშუალოდ ჩართვის შემდეგ, რ.ა.-მ, ბანკის მენეჯერულ თანამდებობაზე მყოფ პირებს მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი საქართველოს მოქალაქე ს.პ. წარუდგინა, რომლის მიერ გაცემული მითითებები რ.ა.-ს დავალებით, ზემოაღნიშნულ პირებს უპირობოდ უნდა შეესრულებინათ.

რ.ა.-ს და ს.პ.-ს განზრახული ჰქონდათ საბანკო დაწესებულების გამოყენებით განსაკუთრებით დიდი ოდენობით დაუსაბუთებელი თანხებისთვის კანონიერი სახის მიცემა, რის უზრუნველსაყოფადაც, დანაშაულებრივ კავშირში მყოფ პირებთან ერთად, განახორციელეს ქმედებათა ჯაჭვი.

კერძოდ, სს „კაპიტალ ბანკში“ ანგარიშები გაუხსნეს რ.ა.-სთან და ს.პ.-სთან დაკავშირებულ ორმოცამდე იურიდიულ და ფიზიკურ პირს. ამასთან, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები სს „კაპიტალ ბანკის“ თანამშრომლებს არსებული საბანკო რეგულაციებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით უკანონო დავალებებს აძლევდნენ.

უკანონო დავალების შესასრულებლად სს „კაპიტალ ბანკის“ პასუხისმგებელი პირები გ.გ., ს.ს. და ლ.ხ. სრულყოფილად არ ახორციელებდნენ რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირების იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციას, არ ადგენდნენ ბანკთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების მიზანს, არ აწარმოებდნენ იურიდიულ პირებთან დაკავშირებულ სრულყოფილ სარეგისტრაციო დოკუმენტაციას, არ სწავლობდნენ კლიენტის მიერ განხორციელებულ გარიგებებს, გარიგების შესაბამისობას კლიენტის კომერციულ და პირად საქმიანობასთან, ქონების და მათ შორის ფულადი სახსრების წარმომავლობას.

რ.ა. და ს.პ. საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევითა და საბანკო რეგულაციების გვერდის ავლით, ფიქტიური დანიშნულებებით და რიგ შემთხვევებში ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან საბანკო დაწესებულებაში რიცხავდნენ განსაკუთრებით დიდი ოდენობით დაუსაბუთებელ თანხებს. შემდგომში კი, ქონების უკანონო, დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის და ნამდვილი ბუნების შენიღბვის მიზნით, ახორციელებდნენ ფულადი სახსრების დაყოფას და შერევას მათ ფაქტობრივ დაქვემდებარებაში არსებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საბანკო ანგარიშებზე. აღნიშნულის შემდეგ კი, გათეთრებული თანხების დიდი ნაწილი საბანკო გადარიცხვებით კვლავ საზღვარგარეთ ბრუნდებოდა.

რ.ა.-მ და ს.პ.-მ, სს „კაპიტალ ბანკის“ თანამშრომელთა გ.გ.-ს, ს.ს.-სა და ლ.ხ.-ს აქტიური დახმარებით, მათთან კავშირში მყოფი ათეულობით იურიდიული და ფიზიკური პირების საბანკო ანგარიშების გამოყენებით, მოახდინეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით დაუსაბუთებელი თანხის ლეგალიზაცია.

იქიდან გამომდინარე, რომ სს „კაპიტალ ბანკი“ ეწეოდა ბანკის ფინანსური მდგომარეობისთვის საფრთხის შემქმნელ საბანკო პრაქტიკას და სისტემატურად არღვევდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაუუქმდა საბანკო ლიცენზია და „კაპიტალ ბანკის“ ლიკვიდაცია განხორციელდა.

საქართველოს გენერალური პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, მსგავსი საქმიანობით დაკავებული სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების გამოსავლენად“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# ნონა ჭაბაშვილის მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი ბარბაქაძეს პატიმრობა შეეფარდა

თელავის რაიონულმა სასამართლომ ლაგოდეხში ყოფილი მეუღლის მკვლელობაში ბრალდებულ 38 წლის გიორგი ბარბაქაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. მოსამართლე თამარ კაპანაძემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, რომელიც 5.000-ლარიან გირაოს ითხოვდა.

პროცესს ესწრებოდა თავად ბრალდებულიც. ბარბაქაძემ წარდგენილ ბრალში თავი დამნაშავედ ცნო, თუმცა სიტყვის უფლებით არ უსარგებლია.

საქმეზე წინასასამართლო სხდომა 10 მარტს, 13:00 საათზე ჩაინიშნა.

შეგახსენებთ, შემთხვევა ლაგოდეხში 15 იანვარს მოხდა.

თავდაპირველი ინფორმაციით, 37 წლის ქალი ბუნებრივი აირის ინტოქსიკაცით გარდაიცვალა, თუმცა, მას შემდეგ, რაც პროცესში პოლიცია და ექსპერტიზის ბიურო ჩაერთო, საქმეს განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია მიეცა.

გამოძიების ინფორმაციით, კონფლიქტის ნიადაგზე გიორგი ბარბაქაძემ ყოფილი



მეუღლე ჯერ გაგუდა, შემდეგ კი კვალის დაფარვის მიზნით საცხოვრებელ სახლში გაზქურის ონკანი გახსნა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ ბარბაქაძე მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა.

# პოლონეთში ქართველები დააკავეს

## დამნაშავეთა ჯგუფს 8 მილიონ 700.000 ევროს მითვისებას ედავებიან

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 9 წევრს ბელარუსიდან პოლონეთის გავლით მიგრანტების გადაყვანა ედება ბრალად.

ამის შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

საქმეს ზამოშჩის საოლქო პროკურატურა იძიებს. პოლონურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, მომხდარის დეტალებზე პროკურატურის პრესსპიკერი არტურ შიკულა საუბრობს.

ეჭვმიტანილებს ბრალად ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფში მონაწილეობა და პოლონეთ-ბელარუსის საზღვრის უკანონო კვეთა ედებათ. მათმა უმეტესობამ დანაშაული უკვე აღიარა. ოთხ მათგანს თავისუფლების აღკვეთა უკვე მიესაჯა, ხოლო დანარჩენებს ქვეყნიდან გასვლა აეკრძალათ.

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობა გასული წლის სექტემბრიდან მიმდინარე წლის იანვრამდე პერიოდს მოიცავს. ჯგუფის წევრები პოდლასკის სავოევოდოში, ვარშავაში, ლოძში, ვროცლავსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში მოქმედებდნენ.

ჯგუფს ორი ადამიანი ხელმძღვანელობდა. ერთი ფინანსურ საკითხებზე იყო პასუხისმგებელი, ხოლო მეორე საზღვრის უკანონო გადაკვეთის ორგანიზებაზე კონკრეტული ადგილებისა და დროის მითითებით მოქმედებდა.

ჯგუფში ასევე იყვნენ ე.წ. მოლარეები და კურიერები.

„დავადგინეთ, რომ მოლარეების მოვალეობის შემსრულებლებმა ჯგუფის დანაშაულებრივ საქმიანობაზე ჯამურად 8 მილიონ 700 ათასი ევრო იშოვეს, კურიერებს კი 4 მილიონ 300 ათასი ევრო გადაურიცხეს. ჩხრეკისას ეჭვმიტანილებს ჯამში 475.000 ევრო და 30.000 აშშ დოლარზე მეტი ჰქონდათ“, – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

დაკავებული არიან პოლონეთის, საქართველოს, უკრაინისა და ტუნისის მოქალაქეები.

ჯგუფის საქმიანობის გამოძიებაში ევროპოლიც მონაწილეობდა.

# მაია ფიფიას ტყვია კისერში მოხვდა

## წალენჯიხაში ბავშვს დედა შემოაკვდა



წალენჯიხაში შვილის მიერ შემთხვევით გასროლილმა ტყვიამ მისი დედა, 53 წლის ქალი, იმსხვერპლა.

მაია ფიფია წალენჯიხის მეორე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის სერტიფიცირებული პედაგოგი იყო.

ქალი თავის არეში ტირის თოფით დაიჭრა.

– უჭკვიანესი და დაფასებული ქალი სკოლაში, უდიდესი დანაკლისი. ასეთი უბედური შემთხვევა დატრიალდა. შვილი პნევმატური ტირის თოფს წმენდდა და ლულაში ტყვია ყოფილა გაჩხერილი, ხელი რომ გამოსდო, გაისროლა და შემთხვევით დედას მოხვდა, საძილე არტერიაში... აბა, რა გითხრათ, ვერ მოხერხდა ქალის გადარჩენა, – განაცხადა ოჯახის ახლობელმა.

– უბედური შემთხვევა იყო, კი, ძალიან ტკბილი ოჯახი, იქიდან ერთი ხმა არ გაგვიგია. ყველა შეესწრო, მამა, დედა, შვილი, – ამბობენ ადგილობრივები.

ქალი, რომელიც ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა, კლინიკაში უგონო მდგომარეობაში შეიყვანეს. პაციენტს მცირე ზომის ჭრილობა ხორხის არეში აღენიშნებოდა.

„ბავშვები, რომლებსაც ნაკლებად მკაცრი და თბილი მშობლები ჰყავთ, ბედნიერ ადამიანებად იზრდებიან“ – ეს არის ბოლო პოსტი, რომელიც მაია ფიფიამ 30 დეკემბერს გააზიარა სოციალურ ქსელში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობით მუხლით დაიწყო.

# ფონიჭალაში პოლიციელი სასტიკად ცემეს

გუშინ, 18 იანვარს, ფონიჭალაში კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი სასტიკად ცემეს.

45 წლის პოლიციელს გამვლელები გაუსწორდნენ.

დაპირისპირების დროს გომელაურის უწყების თანამშრომელმა გასროლაც მოახდინა. ირკვევა ისიც, რომ ინციდენტის დროს პოლიციელი სამოქალაქო ფორმაში იყო.

კონფლიქტი პოლიციელსა და მოქალაქეებს შორის შუქნიშანზე დაიწყო, შემდეგ კი ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა.

მიყენებული დაზიანებებით კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი კლინიკაში გადაიყვანეს.

როგორც „პირველებს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ფაქტზე ორი პირია დაკავებული.

# პოროშენკოს სასამართლო 19 იანვრისთვის გადაიდო



უკრაინის მეხუთე პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს საქმეზე სასამართლო სხდომა 19 იანვრამდე გადაიდო.

გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე არაუგვიანეს ოთხშაბათს გამოცხადდება.

პროკურატურა პეტრო პოროშენკოსთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობას ან 35.7 მილიონი დოლარის ეკვივალენტის (1 მილიარდი უკრაინული გრივნა) მისჯას ითხოვს.

უკრაინის მეხუთე პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო პოლონეთიდან უკრაინაში 17 იანვარს დაბრუნდა. პოროშენკო პეჩერსკის სასამართლოში აეროპორტიდან მივიდა. საქმე ეხება „ქვანახშირის" საქმეს, რომელზეც აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე მსჯელობდნენ.

უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობასა და სახელმწიფო ღალატშია ბრალდებული.

მას ქვანახშირის არალეგალურად გატანას ედავებიან.

# ისრაელი: ფაიზერის მე-4 დოზა ომიკრონისგან ბოლომდე ვერ იცავს




შებას სამედიცინო ცენტრში ჩატარებული კვლევის წინასწარი შედეგების მიხედვით, ფაიზერის კორონავირუსის ვაქცინის მეოთხე დოზა ომიკრონი ვარიანტისგან არასაკმარის დაცვას უზრუნველყოფს.

შებას სამედიცინო ცენტრის ინფექციური დაავადებების მთავარი ექსპერტი, პროფესორი გილი რეგევ-იოხაი აცხადებს, რომ კვლევის შედეგები წინასწარია.

– ანტისხეულების ზრდას ვხედავთ. უფრო მაღალია, ვიდრე მესამე დოზის შემდეგ. თუმცა ოთხი დოზით აცრილებს შორის ომიკრონი ვარიანტით ბევრ ინფიცირებულს ვხედავთ. ვაქცინა შესანიშნავია ალფა და დელტა ვარიანტების წინააღმდეგ, თუმცა ომიკრონისთვის ის საკმარისად კარგი არ არის, – აღნიშნა პროფესორმა გილი რეგევ-იოხაიმ.

# ავღანეთში მიწისძვრა მოხდა



## 22 ადამიანი დაიღუპა

ავღანეთის დასავლეთ ნაწილში მომხდარი მიწისძვრის შედეგად 22 ადამიანი დაიღუპა.

5.6 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრამ პროვინცია ბადღისში, რომელიც თურქმენეთს ესაზღვრება, ასობით შენობა გაანადგურა.

– სამწუხაროდ, წინასწარი მონაცემებით, დაღუპულია 22 ადამიანი, მათ შორის ქალები და ბავშვები, 4 კი დაშავებულია, – განაცხადა პროვინციის ადმინისტრაციის ინფორმაციისა და კულტურის დირექტორმა ბაზ მოჰამად სარვარიმ.

გავრცელებული ინფორმაციით, ყველაზე მეტად ყადისის რაიონი დაზარალდა.

# „თითქმის ყველა შენობა დაზიანდა"

## ტონგას ცუნამიმ უპრეცედენტო ზარალი მიაყენა



წყნარი ოკეანის კუნძულოვანი სახელმწიფოს, ტონგას, ხელისუფლება აცხადებს, რომ ვულკანის ამოფრქვევის შედეგად გამოწვეულმა ცუნამიმ კუნძულს „უპრეცედენტო ზიანი" მიაყენა.

ცუნამი იმდენად ძლიერი იყო, რომ კუნძულზე არსებული თითქმის ყველა შენობა დაზიანდა ან განადგურდა.

ტონგას ხელისუფლების ინფორმაციით, სტიქიურ უბედურებას კუნძულზე 3 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის 2 ადგილობრივი და 1 – გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე.

15 იანვარს ტონგას მახლობლად წყალქვეშა ვულკანი ამოიფრქვა, რამაც 1,2– მეტრიანი ცუნამის ტალღები გამოიწვია.

ვულკან ჰინგა-ტონგას ამოფრქვევის შედეგად კუნძულზე სატელეფონო და ინტერნეტ კავშირი გაწყდა, რის გამოც დაშავებულებისა და მსხვერპლის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ ხერხდებოდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ჟურნალ „პლეიბოის" დამაარსებლის გამაოგნებელი საიდუმლო გამჟღავნდა



ჟურნალ „პლეიბოის" დამაარსებელი ჰიუ ჰეფნერი, რომელიც საკუთარ ბინაში ვარსკვლავების მონაწილეობით ხმაურიან წვეულებებს მართავდა, თავისი მოდელებით მანიპულირებდა, აიძულებდა, ნარკოტიკები მოეხმარათ და ორგიებში მიეღოთ მონაწილეობა. მის გამაოგნებელ საიდუმლოებებზე დოკუმენტური სერიალი „პლეიბოის" საიდუმლოებები" იქნა გადაღებული, რომელიც 10 ნაწილისგან შედგება და რომლის პრემიერა 24 იანვარს გაიმართება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჰეფნერი მოდელებს, როგორც პირად საკუთრებას, ისე უყურებდა. ასევე ღამის კლუბების ვიპ წევრები მათ აიძულებდნენ, ეკეთებინათ ყველაფერი, რასაც თავად მოისურვებდნენ. ისინი მძევლებად ჰყავდათ აყვანილი, მათზე ძალადობდნენ, ნარკოტიკული ნივთიერებებით ჭყეპდნენ, ხოლო ზოგიერთი მათგანი თვითმკვლელობაზე ფიქრამდეც კი მიჰყავდათ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყველაფერი გოგონებზე ზრუნვით იწყებოდა, რათა მათ ერწმუნათ, რომ ისინი ოჯახის წევრებს წარმოადგენდნენ.

# ქალმა დაქორწინებისთანავე განქორწინება მოითხოვა

წყვილი დაქორწინებისთანავე განქორწინების პირას აღმოჩნდა ახლადგამომცხვარი ქმრის აღმაშფოთებელი ქმედებების გამო.

ქორწილი დეკემბერში, შობის დღესასწაულის წინ გაიმართა. ქალის თქმით, ერთადერთი წესი, რომელიც მან დღესასწაულისთვის დააწესა, მისი სახის ტორტით მოთხვრა იყო. მან განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც ავტოკატასტროფაში მოყვა, კლაუსტროფობია განუვითარდა და ის მომენტი, როდესაც მის სახეს ძალის გამოყენებით აკავებენ ტორტში, მასში პანიკას იწვევს. თუმცა მისმა რჩეულმა ეს მოთხოვნა არაფრად ჩააგდო და ზეიმის დროს ცოლს ტორტში თავი ძალით ჩააყოფინა.

ქალი მეუღლის საქციელმა გააბრაზა, ქორწილი მიატოვა, ხოლო მეორე დღეს მას უთხრა, რომ მათ შორის ყველაფერი დასრულდა და განქორწინებაზე განცხადება შეიტანა. მეგობრებმა და ახლობლებმა ქალს სთხოვეს, საკუთარი გადაწყვეტილებისთვის გადაეხედა, თუმცა ის მათ არ დაეთანხმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# პრინცმა ჰარიმ საპოლიციო დაცვის დაბრუნება სასამართლოს ძალით გადაწყვიტა



ბრიტანეთის პრინცი ჰარი დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებას სასამართლო სარჩელით ემუქრება და მისთვის საპოლიციო დაცვის აღდგენას მოითხოვს.

გაირკვა, რომ ის უარს აცხადებს სამშობლოში დაბრუნებაზე უსაფრთხოების დაცვის არარსებობის გამო. აშშ-ში მუდმივად მცხოვრები პრინცი ჰარი განმარტავს, რომ იძულებულია ისარგებლოს ადგილობრივი კერძო დაცვის ფირმის მომსახურებით, თუმცა მის თანამშრომლებს არ გააჩნიათ სათანადო იურისდიქცია საზღვარგარეთ ვიზიტის დროს ან ხელი არ მიუწვდებათ დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო ინფორმაციაზე, რაც აუცილებელია სასექსის ჰერცოგის ოჯახის სათანადოდ დასაცავად.

აქედან გამომდინარე, პრინცის ადვოკატებმა შეადგინეს წერილი დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელზე, რომელშიც მოითხოვეს პრინც ჰარის ქვეყანაში სტუმრობის პერიოდში მისი სახელმწიფო დაცვით უზრუნველყოფა. ამასთან, პრინცი ჰარი ირწმუნება, რომ ყველა ხარჯს საკუთარი ჯიბიდან გადაიხდის. აღსანიშნავია, რომ ეს შესაძლოა სამეფო ოჯახის ისტორიაში დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების წინააღმდეგ შეტანილი პირველი სარჩელი აღმოჩნდეს.

# 61 წლის ცოლმა და 24 წლის ქმარმა ბავშვის ყოლა გადაწყვიტეს



24 წლის კურან მაკეინმა და 61 წლის მისმა შეყვარებულმა შერილ მაკგრეგორმა, რომლებიც ცნობადები მას შემდეგ გახდნენ, რაც ვიდეოჩანაწერები გაავრცელეს, რომლებზეც მათი ურთიერთობა იყო ასახული, გადაწყვიტეს, ბავშვი იყოლიონ.

მაკეინმა მომავალი მეუღლე 2012 წელს, 15 წლის ასაკში გაიცნო, როდესაც სწრაფი კვების რესტორანში მაკგრეგორის შვილთან ერთად მუშაობდა. სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ მან ქალთან კავშირი დაკარგა. ისინი ერთმანეთს ისევ 2020 წლის ნოემბერში შეხვდნენ და სწორედ მაშინ, მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, ერთმანეთის მიმართ რომანტიკული გრძნობები განუვითარდათ.

2021 წლის სექტემბერში წყვილმა იქორწინა და ახლა ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, მშობლები გახდნენ.

– შერილი 61 წლისაა და მას უკვე ჰყავს შვიდი შვილი და 17 შვილიშვილი, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ ვიმსახურებთ, საკუთარი შვილი გვყავდეს, – განაცხადა კურანმა. წყვილი ამტკიცებს, რომ მათ ფანტასტიკური სქესობრივი ცხოვრება აქვთ.

წყვილის ოჯახი ეთანხმება მათ გადაწყვეტილებას ბავშვის ყოლის თაობაზე, თუმცა თავდაპირველად ამ იდეის განხორციელებაში მთელი რიგი მიზეზების გამო ეჭვი ეპარებოდათ.

# ბოროტმოქმედებმა გერმანიაში გზა მოიპარეს

გერმანიის საქსონიის მხარის ქალაქ ციტაუში პოლიცია ეძებს ბოროტმოქმედებს, რომლებმაც გზიდან აყარეს და 60 ტონა 29 ათასი ევროს ღირებულების რიყის ქვა მოიპარეს.

გერმანიის რკინიგზის ოპერატორის თანამშრომლებმა დანაკარგი ადგილობრივ სატვირთო სადგურში შენიშნეს და პოლიციას შეატყობინეს. გზის 300 მეტრის ფართობზე მხოლოდ ქვიშა დარჩა.



პოლიციის მონაცემებით, დანაშაული რამდენიმე დღეში იქნა ჩადენილი. უცნობმა პირებმა 60 ტონა რიყის ქვა მოიპარეს. ამისთვის მათ გამოიყენეს ექსკავატორი, რომლითაც სატვირთო მანქანა დატვირთეს და მოპარული ქვები წაიღეს.

მიყენებული ზარალი 20 ათას ევროდ (გზის შეკეთება-აღდგენის სამუშაოები) შეფასდა, მასალები – 9 ევროდ. ამ დრომდე უცნობია, მოპარული მასალა ქვეყნის ფარგლებს გარეთ იქნა გატანილი თუ გერმანიაში დარჩა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

*სპორტი*

# რობერტ ლევანდოვსკი წლის საუკეთესო ფეხბურთელია



ციურიხში ფიფას წლის რჩეულ ფეხბურთელთა დაჯილდოებაზე საუკეთესოდ ზედიზედ მეორედ ბაიერნისა და პოლონეთის ნაკრების თავდამსხმელი რობერტ ლევანდოვსკი აღიარეს.

სამეულში ასევე შევიდნენ ლეო მესი (ბარსელონა/პსჟ) და მოჰამედ სალაჰი.

**სხვა ნომინაციებში გამარჯვებულების სია ასეთია:**

**საუკეთესო ქალი ფეხბურთელი:** ალექსია პუტელიასი (ბარსელონა);

**საუკეთესო მეკარე კაცთა და ქალთა შორის:** ედუარდ მენდი (ჩელსი) და კრისტინ ენდლერი (ლიონი);

**ფეარ პლეი:** დანიის ნაკრები, დანიის ნაკრების საექიმო შტაბი და პერსონალი;

**ფანები:** დანიელი და ფინელი ქომაგები;

**საუკეთესო მწვრთნელი კაცთა და ქალთა შორის:** თომას ტუხელი (ჩელსი) და ემა ჰეიესი (ჩელსი);

**ფერენც პუშკაშის სახელობის საუკეთესო გოლის** ჯილდო სევილიის არგენტინელ ნახევარმცველ ერიკ ლამელას გადაეცა;

**სპეციალური ჯილდო ნაკრებში გატანილი გოლების რაოდენობით დამყარებული რეკორდისთვის:** კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია).

**წლის სიმბოლური ნაკრები კი ასე გამოიყურება:**

დონარუმა (იტალია), დიაში (პორტუგალია), ბონუჩი (იტალია), ალაბა (ავსტრია), კანტე (საფრანგეთი), ჟორჟინიო (იტალია), დე ბრუინი (ბელგია), მესი (არგენტინა), ლევანდოვსკი (პოლონეთი), ჰოლანი (ნორვეგია), რონალდო (პორტუგალია).

ცხადია, ამ პროცესში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვილი სანიოლი და ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავაც მონაწილეობდნენ.

საინტერესოა, რომ გამარჯვებული ლევანდოვსკი კანკავას საუკეთესო სამეულში ვერ მოხვდა. ჩვენებურის ფავორიტი ლიონელ მესი გახდა. ჯაბამ ჩელსის ფრანგი ნახევარმცველი ნგოლო კანტე გაიყვანა, მესამეზე – ასევე ჩელსის იტალიელი შუახაზელი ჟორჟინიო.

სანიოლის რჩეულებში 2 თანამემამულეა – პირველზე მადრიდის რეალის ფორვარდი ქარიმ ბენზემა გაიყვანა, ხოლო მესამეზე – კილიან მბაპე. ლევანდოვსკი სანიოლის რჩეულთა შორის მეორე ადგილზეა.

როგორც სანიოლის, ასევე კანკავას ფავორიტ მწვრთნელად ევროპის ჩემპიონის, იტალიის ნაკრების, დამრიგებელი რობერტო მანჩინი დასახელდა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# ბასილაშვილი მარისთან ისევ დამარცხდა

ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი ავსტრალიის ღია პირველობის პირველ წრეშივე დაამარცხა. თითქმის ოთხსაათიან მატჩში ჩვენებურმა ბრიტანელ ენდი მარისთან წააგო – 1:6 6:3 4:6 7:6 4:6.

პირველ სეტში მარის უპირატესობა აშკარა იყო. ბასილაშვილის მაყურებელი, ვერავინ იფიქრებდა, რომ თამაში ასე დაიძაბებოდა. ნიკამ მიყოლებით დათმო საკუთარ სამი ჩაწოდება და 1:6 დამარცხდა.

ბასილაშვილი მეორე სეტში ათამაშდა და 4:1 დაწინაურდა, რაც შემდეგ მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე.

მესამე სეტში ჩოგბურთელებმა ჯერ ბრეიკები გაცვალეს, მე-7 გეიმში კი ბასილაშვილმა საკუთარი ჩაწოდება დათმო და და ველარ დაიბრუნა.

ბრეიკები ჩოგბურთელებმა მე-4 სეტშიც გაცვალეს, მაგრამ ამჯერად საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც ჩვენებური უკეთ გამოიყურებოდა და სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

გადამწყვეტ, მე-5 სეტში ბასილაშვილი 1:4 ჩამორჩა, მაგრამ მოახერხა და ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ იქვე 2 გეიმი მეტოქეს აჩუქა და მატჩიც დათმო.

ნამატჩევს გახარებულმა მარიმ ქართველი ჩოგბურთელი შეაქო.

**ენდი მარი:**

– დაინახეთ, ბასილაშვილი როგორც თამაშობდა, მთელი მატჩი წინ და უკან დავრბოდი. ეს ბიჭი საოცარი ძალით ურტყამს. შეუძლებელია, საკუთარი გვარის გასწვრივ მისი გვარის დანახვა გაგიხარდეს.

წინა კვირაში სიდნეიში ძალიან ბრუტალური შეხვედრა ჩავატარეთ. იმ თამაშის მოგებამ თავდაჯერება შემმატა და ძალიან მიხარია, რომ ნიკოლოზის დამარცხება მესამედაც შევძელი.

ოპერაციების შემდეგ დიდ სლემზე წარმატებული სვლა არ მქონია. ძალიან მინდა, ავსტრალიაში ეს ყველაფერი შეცვალო.



# კორკია-საკანდელიძის მემორიალი თბილისში დაიწყება და ქუთაისში დასრულდება




ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების – ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ კორკიას სახელობის მემორიალი 20-25 იანვარს გაიმართება. ტურნირი ტრადიციულია, 2006 წლიდან ტარდება და წელს მე-17-ედ გათამაშდება. მემორიალი დედაქალაქში დაიწყება, სადაც ჯგუფური ეტაპის მატჩები და ნახევარფინალები ჩატარდება, ხოლო ფინალს, ტრადიციულად, ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ კორკიას მშობლიური ქალაქი ქუთაისი უმასპინძლებს.

წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობას 12 გუნდი მიიღებს. მემორიალში სუპერლიგის ყველა – 11 გუნდი და ერთიც ა ლიგის წარმომადგენელი მგზავრები იასპარეზებს. მონაწილეები 4 ჯგუფში, სუპერლიგის მიმდინარე შედეგებით გადანაწილდნენ. თითოეული ჯგუფის გამარჯვებული ნახევარფინალში გავა და მემორიალური თასის მოსაგებად ფინალში გასასვლელად იბრძოლებენ.

**ა ჯგუფი:** ოლიმპი, ბათუმი, მგზავრები;

**ბ ჯგუფი:** ვერა, დინამო, რუსთავი;

**გ ჯგუფი** ტიტები, ცხუმი, ქუთაისი;

**დ ჯგუფი:** მეგა, თსუ, კაკტუსი.

ჯგუფური ეტაპის მატჩები 20, 21 და 22 იანვარს გაიმართება, ნახევარფინალები – 23 იანვარს. ფინალურ მატჩს ქუთაისის სპორტის სასახლე 25 იანვარს, 15:00 საათზე უმასპინძლებს.

მემორიალის მოქმედი ჩემპიონი ქუთაისია, რომელმაც 2021 წლის ფინალურ მატჩში ვერა დაამარცხა.

# „ამას ვერც კი წარმოვიდგენდი“

## ნიკა ამაშუკელი ექვს ერში შევიდა

2021 წლის საქართველოს საუკეთესო მსაჯი ახალი წლიდან ახალ ისტორიას წერს. ნიკა ამაშუკელი ტიერ 2 ქვეყნებიდან პირველი მსაჯია, რომელიც ექვსი ერის კარს შეაღებს და თებერვალში ორ თამაშს იმსაჯებს.



6 თებერვალს, 2022 წლის ექვსი ერის პირველ ტურში, ის საფრანგეთისა და იტალიის მატჩზე რეფერის პირველი ასისტენტი იქნება, ხოლო 27 თებერვალს, მე-3 ტურში, ირლანდიისა და იტალიის შეხვედრას უკვე ცენტრში იმსაჯებს.

მნიშვნელოვანია, რომ ამ უძველეს, თითქმის 140-წლიანი ისტორიის მქონე ტურნირში, ამაშუკელი 2023 წლის მსოფლიო თასის წინ მიიწვიეს. თებერვალ-მარტში ევროპის უძლიერეს ჩემპიონატში სულ 15 თამაშია. შესაბამისად, შეირჩა ამ მომენტისთვის 15 უძლიერესი რეფერი და სასიხარულოა, რომ მათგან ერთ-ერთი ქართველია.

**ნიკა ამაშუკელი:**

– ვერც კი წარმოვიდგენდი, ექვს ერის ცენტრში თუ მომიწევდა მსაჯობა. ლოგიკური იქნებოდა, თუ მხოლოდ გვერდით მსაჯად მივიღებდი დანიშვნას, მაგრამ სრული შოკი იყო, როდესაც ჟოელ ჟუშმა დამირეკა და მითხრა – 27 თებერვალს ირლანდიისა და იტალიის მატჩს ცენტრში იმსაჯებ. ექვს ერზე პრესტიჟული ტურნირი არ არსებობს და მის ნაწილად ყოფნა უდიდესი პატივია, მით უმეტეს მეორე სარაგბო დონის ქვეყნის წარმომადგენლისთვის, რისი პრეცედენტი აქამდე არასდროს ყოფილა. ბედნიერი ვარ, რადგან ასეთი კონკურენციის ფონზე 15 საუკეთესო მსაჯს შორის შემარჩიეს. უფრო მეტად კი მახარებს ის, რომ არა მხოლოდ ქართულ რაგბის, არამედ მთელს ქვეყანას წარმოვადგენ. რაგბში მსაჯი წარმოუდგენელი მნიშვნელობის ფიგურაა, მუდამ ყურადღების ცენტრშია და ვეცდები, ღირსეულად გავართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. ასევე ეს დანიშვნა უნდა გახდეს მოტივაცია ტიერ 2 ქვეყნის წარმომადგენლებისთვის, რომ მუშაობით მეტის მიღწევა შესაძლებელია. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ ყველა ქართველისთვის სანატრელ ტურნირზე ჯერჯერობით მხოლოდ მე ვიქნები წარმოდგენილი და არა ჩვენი გუნდი. იმედია, ეს დანიშვნა გახდება წინაპირობა და ქართული რაგბი დაიწყებს სვლას ამ სისტემისა და ტურნირისკენ.

# გოგა ბითაძის საუკეთესო მატჩი

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ინდიანა პეისერსის ცენტრმა გოგა ბითაძემ პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ინდიანელები აღმოსავლეთ კონფერენციის წარმომადგენელ კლიპერსს ლოს ანჯელესში შეხვდნენ და დაძაბულ ბრძოლაში – 133:139 წააგეს.



რიკ კარლაილის გუნდს ამ შეხვედრაში ძირითადი ცენტრი, მაილს ტერნერი აკლდა და გოგას წინა შეხვედრებისგან განსხვავებით მეტი სათამაშო დრო მიეცა. ჩვენებურმა მოედანზე 25 წუთი დაჰყო და ამ დროში 17 ქულა დააგროვა, რაც ნბა-ში მისი რეკორდია. ბითაძემ ასევე 8 მოხსნა (5 შეტევაში), 2 პასი და 2 დაფარება დააგროვა. ჩვენებური საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლით ისროდა: 8-დან 6 ორქულიანი, 1-დან 1 სამქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა. ბითაძე ერთხელ დაჯარიმდა და ბურთიც ერთხელ დაკარგა. აღსანიშნავია, რომ გოგას პარკეტზე ყოფნის პერიოდში ინდიანამ მეტოქეს 17 ქულით მოუგო, რაც ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო შედეგი იყო.

**ქართველი კალათბურთელის თამაშით კმაყოფილი დარჩა ინდიანა პეისერსის მთავარი მწვრთნელი რიკ კარლაილი:**

– ბითაძემ საოცრად ითამაშა. როდესაც პირველ მეოთხედში საგრძნობლად ჩამოვრჩით, გოგა მოედანზე ბრისეტთან და სტივენსონთან ერთად გავიდა და საჭირო მუხტი მოგვიტანა. ჩვენი სათადარიგოთა სკამიდან თითქმის ყველამ მაგრად ითამაშა.

გოგამ ბევრი კარგი რამ გააკეთა. ბითაძეს კარგად ეხერხება თამაში იმ გუნდების წინააღმდეგ, რომლებიც რიტმს ხშირად ცვლიან. ასეთ მატჩებში გოგა კარგ ორიენტაციას ავლენს, ფარქვეშ სწორად მოძრაობს, ტანს სწორად აყენებს, თუკი მის წინააღმდეგ დაბალი მეტოქე აღმოჩნდება, ზუსტად უტევს და პასის გაცემაც ეხერხება. მისი თამაშით კმაყოფილი დავრჩი. გოგა ამტკიცებს, რომ ყოველთვის მზადყოფნაშია.

შემდეგ შეხვედრას ინდიანა პეისერსი ლოს ანჯელეს ლეიკერსის წინააღმდეგ გამართავს.

# შედეგები

შედეგები

17 იანვარი

### ფეხბურთი

### აფრიკის ერთა თასი

ბურკინა ფასო-ეთიოპია .................. 1:1

კაბო ვერდე-კამერუნი .................... 1:1

### იტალია. სერია ა

ბოლონია-ნაპოლი ........................... 0:2

მილანი-სპეცია ................................ 1:2

ფიორენტინა-ჯენოა ......................... 6:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 21 | 15 | 5 | 1 | 51-16 | 50 |
| 2.მილანი | 22 | 15 | 3 | 4 | 47-25 | 48 |
| 3.ნაპოლი | 22 | 14 | 4 | 4 | 39-15 | 46 |
| 4.ატალანტა | 21 | 12 | 6 | 3 | 44-26 | 42 |
| 5.იუვენტუსი | 22 | 12 | 5 | 5 | 34-21 | 41 |
| 6.ფიორენტინა | 21 | 11 | 2 | 8 | 40-29 | 35 |
| 7.რომა | 22 | 11 | 2 | 9 | 36-28 | 35 |
| 8.ლაციო | 22 | 10 | 5 | 7 | 46-39 | 35 |
| 9.ტორინო | 21 | 9 | 4 | 8 | 29-20 | 31 |
| 10.ვერონა | 22 | 8 | 6 | 8 | 41-37 | 30 |
| 11.ემპოლი | 22 | 8 | 5 | 9 | 35-43 | 29 |
| 12.სასუოლო | 22 | 7 | 7 | 8 | 38-37 | 28 |
| 13.ბოლონია | 21 | 8 | 3 | 10 | 28-35 | 27 |
| 14.სპეცია | 22 | 6 | 4 | 12 | 23-42 | 22 |
| 15.უდინეზე | 20 | 4 | 8 | 8 | 28-36 | 20 |
| 16.სამდორია | 22 | 5 | 5 | 12 | 29-40 | 20 |
| 17.ვენეცია | 21 | 4 | 6 | 11 | 19-38 | 18 |
| 18.კალიარი | 22 | 3 | 7 | 12 | 21-43 | 16 |
| 19.ჯენოა | 22 | 1 | 9 | 12 | 20-45 | 12 |
| 20.სალერნიტანა | 20 | 3 | 2 | 15 | 13-46 | 11 |

### საფრანგეთი. ლიგა 2

პარიზი-ლე ავრი .............................. 2:2

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

პორტიმორენშე-გიმარაეში ..... 1:1(0:1)

### შოტლანდია. პრემიერლიგა

სელტიკი-ჰიბერნიანი ...................... 2:0

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**დათო ჭელიძე:** წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

**ჟანა ამირანაშვილი:** ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სიმღერა ინსტრუმენტული თანხლების გარეშე; 2. სითხის, აირის მინარევებისგან გასაწმენდი ხელსაწყო; 3. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი; 4. ხორბლის, ფქვილის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 5. მწვერვალი კავკასიონზე; 7. როკ-ანსამბლ „იუ-თუს“ ლიდერი, ბრიტანეთის საპატიო რაინდის ტიტულის კავალერი; 11. ძლიერი ფეთქებადი ნივთიერება; 13. ბრიტანელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად მთარგმნელი; 15. საშობაო სიმღერა; 16. წინათ სატუსაღო, დღეისათვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი პარიზში; 18. კამეჩის ან ძროხის ტყავისგან დამზადებული წყლის საზიდი დიდი ტიკი; 19. იაპონური აბანო.

**თარაზულად:** 6. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 8. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, „შეკუმშვა“; 9. ეკლესია თბილისში; 10. საპატიო თანხლება; 12. ბრიტანული არაყი; 14. დაქირავებული კავალერი; 17. შვეიცარიული ფარმაცევტული ფირმა; 20. ერთისა და იმავე სიმაღლის ორი ან მეტი მუსიკალური ბგერის ერთდროული ჟღერადობა; 21. თავისუფალი მოქალაქე ძველ რომში, რომელსაც არავითარი პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდა; 22. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 23. თანამედროვე მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პოლიცია; 2. სუმიდა; 3. შუშაბანდი; 4. ბუნინი; 5. ვარიანტი; 7. რომი; 11. მესხეთი; 13. ნიორაძე; 15. სესხი; 16. შონია; 18. ანაგა; 19. რეალი.

**თარაზულად:** 6. ოფორტი; 8. სუფრული; 9. სენგერი; 10. ცინიზმი; 12. მარჟა; 14. ჭიბონი; 17. დრომადერი; 20. ყეენობა; 21. სხვენი; 22. გვილია; 23. შანსონიე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შაჰი; 2. ისე; 3. კარაკასი; 4. პა; 5. შიკოლონე; 6. თაჯა; 7. ბიუჯეტი; 10. კოლო; 11. გარპაგონი; 12. კაზემირო; 13. თული; 16. ნარიტა; 18. მიტარბი; 19. სხალთა; 21. დასტა; 24. ნოსტე.

**თარაზულად:** 1. შნიცელი; 3. კანაპე; 8. დივანი; 9. ჰუკი; 14. ელესა; 15. ბუგელი; 17. ზღვა; 20. სლაიდი; 22. ნაიკი; 23. ხამონი; 25. მზე; 26. იკეა; 27. ბარი; 28. სიგნატურა.

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

19 იანვარი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 3.0840

ევრო — 3.5130

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1992

100 რუსული რუბლი — 4.0371

**ამინდის პროგნოზი 19 იანვრისათვის**




# კრიშტიანო რონალდუ მანჩესტერის შედეგებით უკმაყოფილოა



მანჩესტერ იუნაიტედის პორტუგალიელი ფორვარდი კრიშტიანო რონალდუ თავისი გუნდის შედეგებით უკმაყოფილოა და, შესაძლოა, მან სეზონის ბოლოს გუნდიდან წასვლაზეც იფიქროს.

ეს იმის გამო ხდება, რომ რანგნიკის მოსვლის შემდეგ რონალდუ არ არის ისეთი შედეგიანი, როგორიც ადრე და, შესაძლოა, მას რანგნიკთან მცირე კონფლიქტიც კი ჰქონდეს.

თუ ეს სიმართლეა, მაშინ რონალდუს წასვლა საკმაოდ რეალური ხდება.

# ნიუკასლს ედენ აზარის შეძენა სურს



ნიუკასლის ერთ-ერთი სატრანსფერო მიზანი ედენ აზარის შეძენა იქნება და, შესაძლოა, ეს ტრანსფერი მართლაც რეალური აღმოჩნდეს, რადგან აზარს რეალიდან წასვლა სურს და მადრიდული გუნდიც არ არის წინააღმდეგი, რომ აზარმა რეალი დატოვოს.

ნიუკასლს ახალი, მდიდარი მფლობელი ჰყავს, რომელსაც შეუძლია, ტრანსფერებში დიდი თანხა გადაიხადოს.

აზარს წლევანდელ სეზონში თითქმის არ უთამაშია.

# რუნი, შესაძლოა, ევერტონის მწვრთნელი გახდეს



ევერტონი რაფაელ ბენიტესის განთავისუფლების შემდეგ დროებით მწვრთნელის გარეშეა და, შესაძლოა, ეს ადგილი უეინ რუნიმ დაიკავოს, რომელიც ევერტონის აღზრდილია და მისი კარიერა სწორედ ამ გუნდში დაიწყო.

რუნიმ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის ევერტონში დაბრუნებას არ გამორიცხავს, თუმცა კონკრეტულად ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# იუმორი

გემის კაპიტნის თანაშემწეს აღშფოთებული მგზავრი ქალბატონი მიმართავს:

– წარმოგიდგენიათ, წუხელის მთელი ღამე ჩემ კაიუტაში ვიღაც მთვრალი მეზღვაური ცდილობდა შემოღწევას!

– ქალბატონო, ნუთუ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ მესამე კლასის კაიუტის კარზე შეიძლება ზრდილობიანად დააკაკუნოს კაპიტანმა?

●●●

პაციენტი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, შეგიძლიათ მითხრათ, რა დაავადება უნდა გადაიტანოს ადრეულ ბავშვობაში ადამიანმა, რომ ნამდვილი დებილი გაიზარდოს?

– ერთ წუთს დამელოდეთ, ახლავე თქვენი ავადმყოფობის ისტორიას გადავხედავ და გიპასუხებთ.

●●●

ორი დაქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რა უკმაყოფილო სახე გაქვს, რა მოხდა?

– გუშინ ჩემს ქმარს სათევზაო მოწყობილობის სრული კომპლექტი ვაჩუქე.

– მერე, რა გინდა, შენი ქმარი ათი წელი ხომ ყოველ შაბათ-კვირას სათევზაოდ დადის.

– საქმეც ეგ არის, ერთი ათი წუთი ხელში ატრიალა, შემდეგ კი მეკითხება, ესენი რისთვისააო?

●●●

8 მარტის წინა ღამით ცოლი ქმარს აღვიძებს და ეუბნება:

– საყვარელო, ვერ ვიძინებთ, იქნებ ვისიყვარულოთ?

– დაიძინე! საჩუქრებს ნაადრევად არ ვჩუქნი!

●●●

დილით ქმარი სამსახურში წასასვლელად ემზადება და ცოლს ეკითხება:

– სუფთა წინდები გვაქვს?

– გვაქვს, მხოლოდ გასარეცხია.

# ნუგზარ კვაშალი 70 წლის გახდა



ანსამბლ „ივერიის“ წევრი, მომღერალი ნუგზარ კვაშალი, იუბილარია. მას 70 წელი შეუსრულდა.

ნუგზარ კვაშალის მთელი შემოქმედებითი ცხოვრება ანსამბლ „ივერიასთან“, მის პოპულარულ მიუზიკლებთან და უნიჭიერეს მომღერლებთან არის დაკავშირებული.

ათეული წლებია, მომღერალი „ივერიის“ წევრია და წარმატებული საკონცერტო ტურნეებით მსოფლიო აქვს მოვლილი.

ალექსანდრე ბასილაიას წყალობით შეიქმნა ორი ჯუჯა და იუბილარი ხელოვანი და ვახტანგ ტატიშვილი ბავშვებისთვის განსაკუთრებით საყვარელი პერსონაჟები გახდნენ.

– მთავარია სამი რამე დედამიწაზე, სიყვარული, სიკეთე და სილამაზე, – ეს არის ორი ჯუჯას სიმღერის მთავარი გზავნილი საზოგადოებისადმი, რაც, იუბილარი მომღერლის თქმით, ადამიანებისთვის ცხოვრების ძირითადი ფორმულა უნდა იყოს.

# „რანინამ“ მეხუთე სეზონის რჩეულები დაასახელა




საზოგადოებრივი მაუწყებლის მუსიკალურმა გადაცემამ „რანინას“ მეხუთე, საიუბილეო სეზონის რჩეულები გამოავლინა და ისინი ფართო საზოგადოებას წარუდგინა.

„რანინას“ შემოქმედებითმა ჯგუფმა მსურველთა შორის საუკეთესო ათეული შეარჩია: ალისა ფარულავა, ანა კერესელიძე, ბარბარე ქოქაშვილი, ვაჩე ღვინიაშვილი, კატო ჩქარეული, მარიამ ბიგვავა, ნიკოლოზ ხარატი, ოთო ბაზერაშვილი, ნინო გაზდელიანი და სანდრო კვაჭაძე.

კონკურსანტებს სხვადასხვა მუსიკალურ ტურში ცნობილი მუსიკოსები, კომპოზიტორები, მომღერლები, პროდიუსერები შეაფასებენ.

შოუს გამარჯვებული საქართველოს „საბავშვო ევროვიზიაზე“ წარადგენს.

# „ანნას შოუ“ დაიხურა



ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე მსახიობ ანა ჩირაძის შოუ „ანნას შოუ“ დაიხურა. „ჩემი ცოლის დაქალების“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პერსონაჟის ჩიკას როლის შემსრულებელმა მსახიობმა გადაცემის წაყვანა მხოლოდ რამდენიმე თვით შეძლო.

გადაცემის დახურვის მიზეზად ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა მაღალ ბიუჯეტსა და დაბალ რეიტინგს ასახელებს.

# ბარბარა სამხარაძე გაანაწყენეს



„ნიჭიერის“ გამარჯვებული, მომღერალი ბარბარა სამხარაძე გაანაწყენეს. ამის მიზეზი მის მშობლიურ ლაგოდეხში კონცერტებზე დაუპატიჟებლობა გახდა:

– არანაირი გართულება არ მაქვს არც ერთ არხთან და მით უმეტეს პროექტებთან, მაგრამ ცოტათი ნაწყენი ვარ კახეთზე და განსაკუთრებით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტზე, ხალხზე არა!

ზოგადად ლაგოდეხელები იმერლები ვართ წარმოშობით და ვფიქრობ, ყველაზე მაგარი კომბინაციაა, სტუმართმოყვარეობიდან დაწყებული, გულითა და სიყვარულით დასრულებული.

6 წელი გავიდა, რაც გავიმარჯვე, გამარჯვებიდან 6-ჯერ არ მიმღერია ლაგოდეხში და ზოგადად კახეთში. ყოველ წელს ჩადიან აწ უკვე ჩემი მეგობრები და ატარებენ კონცერტებს. მართლა მწყინს, ნუ, აქამდე არსად არაფერი მითქვამს მაგრამ, ძალიან საწყენია, როცა შენს რეგიონში მეათასეხარისხოვანი ხარ, წარმატების დროს კი ყველა ამაყად გიბრალებს, რომ მისი კუთხიდან ხარ.

# მადონა ვულგარული პოზებისთვის ისევ გააკრიტიკეს



ამერიკელმა პოპმომღერალმა მადონამ საკუთარი ეროტიკული ფოტოსურათების სერია გამოაქვეყნა და ამით თაყვანისმცემლების მხრიდან მძაფრი კრიტიკა დაიმსახურა.

63 წლის მომღერალმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა სურათები, რომლებშიც ის საშინაო, ვერსაჩეს ბრენდის აბრეშუმის ხალათში, დახეულ წინდებსა და მაღალქუსლიან ფეხსაცმელებში გამოწყობილი პოზირებს. ამასთან, რამდენიმე კადრში მადონას განზრახ აქვს გადაშლილი ფეხები და შავი ფერის საცვლის დემონსტრირებას ახდენს.

– ცხოვრებამ დამასახიჩრა, ფიქრობთ, რომ ეს სულ ერთია? – დაწერა ფოტოსურათების კომენტარში ამერიკელმა მომღერალმა.

თავის მხრივ კი საკუთარ კომენტარებში მადონა მძაფრად გააკრიტიკეს თაყვანისმცემლებმა, რომლებმაც მისი პოზები მეტისმეტად ვულგარულად მიიჩნიეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ლაშა გურგენიძემ რჩეულს ხელი სთხოვა



თავისუფალი თეატრის მსახიობმა ლაშა გურგენიძემ თავის რჩეულს ხელი საჯაროდ სთხოვა. „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეათე საიუბილეო სეზონის მონაწილემ ფინალურ შოუზე თავისი რჩეული სცენაზე მიიხმო, ულამაზესი ყვავილების თაიგული მიართვა, დაუჩოქა და ხელი სთხოვა:

– თანახმა ხარ, რომ ცხოვრების ბოლომდე გამიძლო? – ჰკითხა მან საყვარელ ადამიანს და პასუხად თანხმობა მიიღო.

ლაშა გურგენიძე „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეათე საიუბილეო სეზონში კარინა ლისენკოსთან ერთად ცეკვავდა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ასტროპროგნოზი



## 19 იანვრისათვის

**ვერძი** – იმპულსურობა საქმეს გააფუჭებს. დღეს საოჯახო და პირადი პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. **კურო** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, ასევე სამოგზაუროდ ან მივლინებაში წასასვლელად. **კირჩხიბი** – საკუთარი ძალებისადმი იმედგაცრუებაა მოსალოდნელი. ნუ დაივიწყებთ პარტნიორებს, რომლებიც ერთ დროს წარმატების მიღწევაში დაგეხმარნენ. **ლომი** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. საკუთარი ადგილი იცოდეთ. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იაქტიურეთ. საქმიანი მოლაპარაკებებისათვის შეუფერებელი დროა. **სასწორი** – სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობა წარმატებული იქნება. დაუფიქრებელ, სპონტანურ გადაწყვეტილებებს არასასურველი შედეგი მოჰყვება. **ღრიანკალი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. საკუთარი შესაძლებლობები კარგად გათვალეთ. **მშვილდოსანი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, რაც, შესაძლოა, მოულოდნელმა მივლინებამ განაპირობოს. **თხის რქა** – სერიოზული საქმიანი მოლაპარაკებები არ წამოიწყოთ. უმჯობესია, თუ დღეს ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებთ. **მერწყული** – დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ხარჯი სახიფათოა. **თევზები** – დიდი დატვირთვა გელით როგორც ფიზიკურად, ისე – ემოციურად. საქმიან ქაღალდებს ხელს ნუ მოაწერთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. მონადირე ძაღლის ჯიში; 2. მონასტერი ადიგენის რაიონში; 3. სამთო-კლიმატური კურორტი საქართველოში; 4. გეომეტრიული ფიგურა; 5. ჩვილი ბავშვის საფენი; 7. ჯიხვების ჯოგი; 11. ღრმა ძილის მდგომარეობა; 13. პირველი ქართველი მფრინავი; 15. ღვინის სასმისი; 16. ყველაზე მრავალრიცხოვანი ინდიელთა ტომი პერუ-ბოლივია-ეკვადორში; 18. დადუღებული ყურძნის წვენი; 19. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი.

**თარაზულად:** 6. ცხარე ბოსტნეული; 8. ოქროს ჩამოსასხმელი ყალიბი; 9. მუსლიმთა ერთ-ერთი მთავარი დღესასწაული; 10. რჩევა-დარიგება, მითითება, რომელსაც უტოვებენ შთამომავლობას; 12. მორიგეობა გემზე; 14. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი; 17. ქართული მინერალური წყალი; 20. ჰაერში დაგროვილი წყლის შესქელებული ორთქლი; 21. ხოხბისნაირთა ოჯახის ფრინველი; 22. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 23. ცოცხლად მშობელი თევზი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*